ენის მტერი ქვეყნის მტერია! ③

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვები სიტყვაა, ტყვიებით და ჯიბეებით ბუტის გაცანა ყველა უკიდურესობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 19 აპრილი. 2017 წ. №80 (8217), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ახალქალაქის საკრებულო „სომეხთა გენოციდის“ აღიარებას გეგმავს? ⑤

„მეზობელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!..“

კრემლისა და ერებუნის მორიგი „გამონათება“...

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლედან



● ქრისტე განყენებული ღმერთი კი არ არის, თითოეულ ჩვენგანს პირად მეგობრობას გვთავაზობს; მისი შეცნობა და მასთან დაახლოება ეკლესიაში და ეკლესიური საიდუმლოებებით არის შესაძლებელი: ევქარისტიით თანაზიარნი ვხდებით მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორცისა და სისხლისა და ვიმსჭვალებით მისი ცხოველმყოფელი მადლით; ამასთან, გვეუფლება საკუთარი უღირსების შეგრძნება და მიმტევებელნი ვხდებით. ღვთის დახმარების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი, როგორც არ უნდა მოინდომოს მან ეს, უკეთესობისკენ ვერ შეიცვლება და ვერც ცოდვისაგან განიწმინდება.

და როგორც მაცხოვარმა საღვთო ძალით შემუსრა ჯოჯოხეთი და სიკვდილი, ჩვენც მხოლოდ ქრისტეს მადლითა და ძალით აღვსილთ ძალგვიძს მათი დამარცხება. ჩვენ ყველას ჩვენი გოლგოთა გველის და ყველა მართალს აღდგომა და ამაღლება.

იხ. 2-3-5 გვ.

თურქეთის პრეზიდენტის გაძლიერება და საქართველოს ინტერესები ⑧

დღეს ოსმალთა იმპერია!..

ზვიად ძიძიგური:

ოსებთან და აფხაზებთან უფრო მეტი საერთო ენის გამონახვაა საჭირო... ④

ჯარლო კოპალიანი:

ჩემი დიდი პატივისცემა ქუთაისს, მაგრამ პარლამენტი თბილისში უნდა იყოს!

რაგბი ჩვენი თამაშია!

ღირსება შევინარჩუნეთ! ⑩

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლედან

● უპატიებელი ცოდვაა სასოწარკვეთა და სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრება. ვინც ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, რა თქმა უნდა, ველარ უძლებს თავისი ჯვრის სიმძიმეს და გამოსავლს ასეთ ქმედებაში სედავს. ამ ადამიანებს, სინამდვილეში არასწორი აზროვნება აქვთ. მათი მთავარი შეცდომა ის არის, რომ მარტო ცდილობენ შეეჭიდონ სიძნელეებს და მხოლოდ თავისი შესაძლებლობებით სურთ, გაუმკლავდნენ სირთულეებს. ვერ სვდებიან იმას, რომ ჯვარი იქამდეა მძიმე, ვიდრე მის ტვირთვას მხოლოდ შენს თავზე მინდობილი ცდილობ; როგორც კი ჩვენი პირადი ჯვარი ქრისტეს ჯვრად იქცევა, ანუ ჩვენი ცხოვრება ქრისტეს რწმენითა და მისი მცნებებით განიმსჭვალება, ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი საშიშროება სხვა განზომილებაში გადადის და აღმოვაჩენთ, რომ უმძიმესი განსაცდელიც კი ჩვენი სიკეთისათვის ყოფილა უფლისგან დაშვებული. ამის შეგნება ჩვენში სიმშვიდეს ასადგურებს და ღვთისადმი იმედით, მადლიერებითა და მორჩილებით განგვაწყობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 22-23 აპრილს ირანს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა, დაგეგმილი ვიზიტი და ორმხრივი ურთიერთობების განვითარება იყო საქართველოს მთავრობის მეთაურისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰამედ ჯავად ზარიფის დღევანდელი შეხვედრის მთავარი თემები. საუბრისას აღინიშნა, რომ 25-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების გარდა, საქართველოსა და ირანს თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმატები აკავშირებთ.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებასა და გაღრმავებას, რასაც, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა თბილისში მიმდინარე საქართველო-ირანის ბიზნესფორუმის მნიშვნელობას, რომელიც ორი ქვეყნის ბიზნესწრეებს შორის ურთიერთობების განვითარებას შეუწყობს ხელს და ირანელ ბიზნესმენებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაცნობის შესაძლებლობას მისცემს.

შეხვედრისას საუბარი შეეხო ტრანსპორტისა და ენერგეტიკის, ასევე, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და სამრეწველო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივას. ყურადღება გამახვილდა სამეცნიერო და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებზეც. მხარეებმა, საუბრისას, დადებითად შეაფასეს განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.

ირანთან ორმხრივი ვაჭრობა 50 პროცენტით გაიზარდა

ირანთან ორმხრივი ვაჭრობა 50%-ით გაიზარდა — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძე ირანელ კოლეგასთან მოჰამედ ჯავად ზარიფთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ჯანელიძის თქმით, ირანში საქართველოსთვის ხელსაყრელ ბიზნეს საინვესტიციო კლიმატია.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ტურისტების მზარდი დინამიკა.

„2016 წელს ირანელი ტურისტების რაოდენობა საქართველოში 5-ჯერ გაიზარდა და ეს ტენდენცია გრძელდება. ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოსა და ირანს შორის პირდაპირ ავიაფრენებს“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

მიხეილ ჯანელიძემ ირანელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის.

პრეზიდენტი მარგველაშვილი ოკუპირებულ აფხაზეთში სერგეი ლავროვის ვიზიტს აპროტესტებს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აღშფოთებას გამოხატავს ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტისა და რუსეთის ფედერაციის ე.წ. საელჩოს გახსნის გამო და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას მტკიცედ დაგმოს რუსეთის ფედერაციის ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების პოლიტიკა“.

„უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ვიზიტი საქართველოში და საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი წარმომადგენლობის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების თანხმობიით. სხვა შემთხვევაში, ასეთი ქმედება წარმოადგენს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას. რუსეთის ფედერაციის მცდელობები საერთაშორისო ურთიერთობების იმიტაციით მოახდინოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი ყოფნის ლეგალიზაცია, ეწინაღმდეგება 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებასა და ასევე, საერთაშორისო სამართლის ძირეულ პრინციპებს“, — ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის განცხადებაში.

პრეზიდენტის თქმით, საქართველო კვლავაც გამოხატავს მზადყოფნას ნებისმიერი საკითხის დიპლომატიურ სივრცეში განხილვისათვის და მოუწოდებს რუსეთის მხარეს კონსტრუქციული დიალოგისაკენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ოკუპირებულ აფხაზეთში გუშინ ჩავიდა. ლავროვი აფხაზეთში ორი დღე დარჩება და შეხვდება ე. წ. პრეზიდენტს და ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრს, ასევე გახსნის რუსეთის „საელჩოს“ ახალ შენობას.

ზურაბ აბაშიძე: ეს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უხეში ხელყოფაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში, ზურაბ აბაშიძე, ოკუპირებულ სოხუმში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს ეხმაურება.

აბაშიძე ვიზიტს საქართველოს სუვერენიტეტის უხეშ ხელყოფად აფასებს და ამბობს, რომ მოსკოვის მხრიდან ორივე ოკუპირებულ რეგიონში ბოლო პერიოდში დესტრუქციული ნაბიჯები გააქტიურებულია.

„ასეთ ვიზიტი გახლავთ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უხეში ხელყოფა. მან ასეთ ვიზიტები განახორციელა 2011, 2009, 2008 წლებშიც. რუსეთმა ბოლო ხანს სხვა დესტრუქციული ნაბიჯები გადადგა საქართველოსთან მიმართებაში. ყოველივე ეს გახლავთ საერთაშორისო სამართლის უხეში ხელყოფა და ასე აფასებს ამას საერთაშორისო თანამეგობრობაც,“ — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

ეს რამდენი ამბიციური მოსამართლე გვყოლია!

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა განაცხადების მიღება დასრულდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის სურვილი 68 კანდიდატმა გამოთქვა. „შემოსული განაცხადებიდან ხუთ კანდიდატურას სპეციალური სამთავრობო კომისია შეარჩევს.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან წარსაგზავნი მოსამართლის 2016 წლის კონკურსში 47 კანდიდატი მონაწილეობდა.

მოსამართლის კანდიდატურების შესარჩევად კონკურსის ფარგლებში საბუთების მიღება 2017 წლის 21 თებერვალს გამოცხადდა და 13 აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ 30 წლიდან 65 წლამდე ასაკის საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას; ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენას (ინგლისური ან ფრანგული); ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, შესაბამის პრეცედენტულ სამართალს და აქვთ ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება; საერთაშორისო საჯარო სამართლის

პრინციპებსა და საქართველოს კანონმდებლობას.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან უნდა იყოს კომპეტენტური და აღიარებული სამართალმცოდნე; ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაცია.

კონსტიტუციაში შესაძლოა, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ჩანაწერი გაკეთდეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის თანახმად, კონსტიტუციაში ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ჩანაწერი კეთდება. ამის შესახებ ინფორმაციას საკონსტიტუციო კომისიის წევრი, იურისტი გიორგი გოცირიძე ავრცელებს. კონსტიტუციის პროექტში შეტანილია მუხლი 79 — ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“, — აღნიშნულია კონსტიტუციის პროექტში.

უნდა დავიცვათ ევროპული ნორმები!

თამბაძოს დარგს საკმაოდ სერიოზული საბიუჯეტო შემოტანები აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა დავიცვათ ის მიღებული ნორმები, რომელიც პირველ რიგში, ევროპაშია გავრცელებული, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ თამბაქოსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით მთავრობის შენიშვნებზე საუბრისას.

თამბაქოსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე მთავრობას შენიშვნები აქვს. ის 17 გვერდისგან შედგება და პარლამენტი მას გუშინ განიხილავდა.

ქველმოქმედი აკაკი სინჯიკაშვილი წმინდა ნიკოლოზის ორდენით დაჯილდოვდა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ქველმოქმედი აკაკი სინჯიკაშვილი წმინდა ნიკოლოზის ორდენით დააჯილდოვა.

შესაბამისი განკარგულების ხელმოწერის შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა ჯილდო აკაკი სინჯიკაშვილს პირადად გადასცა. პრეზიდენტმა აკაკი სინჯიკაშვილი ქველმოქმედების იდეის პოპულარიზაციისა და ადამიანებისათვის გაწეული უანგარო სამსახურისათვის დააჯილდოვა.

„მე მინდა დღეს, როდესაც განსაკუთრებით ვლინდება ჩვენი საზოგადოების ზრუნვა ერთმანეთზე, გამოვყო თქვენი ღვაწლი. თქვენ ბევრი საქველმოქმედო პროექტი განახორციელეთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არა მარტო ის ემოცია, რომელიც მოდის პირადად თქვენგან, არამედ ის ემოციაც, რომელსაც თქვენი საქმიანობით აღძრავთ საზოგადოებაში.

მინდა, ამას ხაზი გავუსვა და გადმოგცეთ სპეციალურად, ქველმოქმედი ადამიანებისთვის განკუთვნილი ჯილდო — წმინდა ნიკოლოზის ორდენი. გილოცავთ და მადლობას გიხდით იმისთვის, რასაც აკეთებთ ჩვენი საზოგადოებისთვის“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ენის მტერი ქვეყნის მტერია!

ილია ჭავჭავაძე

რამდენიმე შეკითხვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონებო, მინდა, მოგმართოთ რამდენიმე შეკითხვით; ვიცი, ამ კითხვებზე პასუხს ვერ მივიღებ, მაგრამ მსურს იცოდეთ, საზოგადოებაში რა აზრიც არის და ადრე თუ გვიან ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

საუბარი ერთი უხერხული შეკითხვით უნდა დავიწყო: **14 აპრილი რომ ქართული ენის დღეა, გახსოვთ? თუ გახსოვთ, რატომ არსად არ გამოჩნდა მთავრობისა და პარლამენტისაგან ამ თარიღის ცოდნა?..**

მჯერა, რომ გახსოვთ; მაშინ ისიც გეცოდინებათ, ბატონებო, როდესაც ქართული ენის დღე დაწესდა, ითქვა: ეს იქნება არა საზეიმო, არამედ ანგარიშგების დღეო; 14 აპრილს ქვეყანასა და ხალხს ანგარიში უნდა ჩავაბაროთ, რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის სასიკეთოდო... საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს ჰქონდა რაიმე საანგარიშო ამ ერთი წლის მანძილზე? გაკეთდა რაიმე ამ 365 დღის განმავლობაში დედაენის სასიკეთოდ?.. მეტიც: წინა წელს მიღებული უმნიშვნელოვანესი კანონი ამ ხელისუფლებამ ფარატინა ქაღალდად აქცია... ამ საკითხს უფრო კონკრეტულად შევეხები:

2015 წელს წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ (პრეზიდენტმა კანონს ხელი მოაწერა 22 ივლისს). ამ კანონის მე-40 მუხლი საქართველოს **პრემიერ-მინისტრს ავალდებულებდა 2016 წლის 1 თებერვლამდე შეექმნა კანონით გათვალისწინებული სამსახური** — სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და **დაენიშნა მისი ხელმძღვანელი;** ხოლო 2016 წლის 14 აპრილამდე დაემტკიცებინა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა და სხვა... და სხვა... კანონი **ფინანსთა სამინისტროს ავალდებულებდა, ბიუჯეტის კანონში უზრუნველეყო ამ დეპარტამენტისათვის საჭირო თანხების ასახვა...** კანონის მოთხოვნები არ შეუსრულებია პრემიერ-მინისტრს და ფინანსთა სამინისტროს! რატომ? იქნებ განმიმარტოთ: საქართველოში **მაღალი თანამდებობა აძლევს ვინმეს კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის უფლებას?** პარლამენტს ხომ **კანონის შესრულებაზე ზედამხედველობის ვალდებულება აქვს?** რატომ არ იყენებს ამ უფლებას?

ბატონებო, ამ თემაზე არაერთგზის მივმართეთ ოფიციალურად პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს (თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციებს, უმრავლესობას), „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს... სამწუხაროდ, **პასუხი არცერთ მიმართვაზე არ მიგვიღია... რატომ?** წაყრუება მომგებიანი პოზაა? ესეც გვაინტერესებს, ფინანსთა სამინისტრომ რომ კანონი დაარღვია, **ეს თვითნებობაა, თუ მან ზემდგომის მითითება შეასრულა?..**

ბატონებო, მინდა, ერთი მძიმე რეალობაც გავიხსენო:

საბედისწერო იყო ქართული ენისათვის ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლა; რატომ? — მოგახსენებთ:

> **2004 წლიდან**
>
> — გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;
>
> — გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;
>
> — პარლამენტში გაუქმდა ქართული ენის ქვეკომიტეტი;
>
> — საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაიხურა ქართული ენისადმი მიძღვნილი ყველა ტელე და რადიოგადაცემა;
>
> — უმაღლეს სასწავლებლებში სერიოზული პრობლემები შეექმნა ქართული ენის სწავლებას;
>
> — სავალალო დღეში ჩავარდა ქართული ენის სწავლება სკოლაში...
>
> — გაუარესდა ქართული ენის ფუნქციონირების მდგომარეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ საყოფაცხოვრებო სფეროში... და სხვა...

ქართულ ენაზე „ნაციონალური“ ხელისუფლების დროს თავსდატეხილი უბედურება არ გამოსწორებულა „ოცნების“ ხელისუფლების დროს; არცერთი ეს პრობლემა არ მოგვარებულა. 2015 წელს მიღებული კანონის აღსრულება (ენის დეპარტამენტის შექმნა) იქნებოდა გარანტი წინამორბედთა წახდენილი საქმეების გამოსწორებისა... კანონის შექმნის მიზანი სწორედ ეს იყო; 2012 წელს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კომისიებში იყო ამის თაობაზე საუბარი; იყო საარჩევნო დაპირებებიც, ეშველებაო ქართულ ენას... სად არის ეს საშველი? რატომ მიიღო დღევანდელმა ხელისუფლებამ უკრიტიკოდ წინა ხელისუფლების ავი მემკვიდრეობა სახელმწიფო ენის სფეროში? თითქოსდა პარადოქსია: 2016 წელს არჩევნების წინ ახალი სახეების წარდგენა საგურამოში მოხდა, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში... **ეს არის ილიას გზით სიარული?** სწორედ **ილიამ ბრძანა, ენის მტერი ქვეყნის მტერიაო...**

ახლახან ჟურნალისტის დასმულ კითხვას პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, ქ-მა **მარიამ ჯაშმა** უპასუხა, რომ წლის ბოლომდე დეპარტამენტი შეიქმნებაო (ქ-ნი მარიამი იანვარში წერდა, თებერვლის ბოლოს მოგვარდება ეს საქმეო!..), მიმდინარეობს ქართული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის განხილვაო...ნუთუ ორი წელია ამისთვის საჭირო? ბრძანა, განიხილება დეპარტამენტის თანამშრომელთა კანდიდატურებიცო... კანონით ეს ხომ დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროგრატივაა? სამსახურის დაკომპლექტება პოლიტიკური ნიშნით ხდება? კულუარებიდან ისეთი ხმები გამოდის ხელმძღვანელის კანდიდატურათა შესახებ, იქმნება შთაბეჭდილება, ვიღაცას ამ საქმის „ჩაგდება“ სურს, „ენის კანონის“ იდეის ჩაკვლა; ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ გააქტიურდნენ ის ძალები, ვინც ებრძოდა კანონპროექტს... არადა, გვაქვს ძალიან მდიდარი ტრადიცია ამგვარი სტრუქტურების არსებობისა; ჯერ კიდევ შორეულ კომუნისტურ წარსულში შეიქმნა და წარმატებით საქმიანობდა „თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“, რომელსაც იმჟამად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა (კომისიისათვის საბაზო დაწესებულება ენათმეცნიერების ინსტიტუტი იყო)... ამ კომისიამ ათეული წლების მანძილზე ქართული ენის სასიკეთოდ უამრავი საქმე გააკეთა... 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია; 1997 წელს — ენის სახელმწიფო პალატა; მათი საქმიანობაც ნაყოფიერი იყო... რატომ უგულებელვყოფთ ამ გამოცდილებას? რატომ ვიგონებთ ველოსიპედს?

შეკითხვები სხვაც არის, მაგრამ აქ დავსვამ წერტილს... მხოლოდ ერთს ვიტყვი: ბატონებო, ქართულ ენას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალი განსაცდელი გადაუტანია! ამასაც გაუძლებს, მაგრამ რატომ ვიგდებთ თავს ამ დღეში?

გიორგი გოგოლაშვილი

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლედან

● ცოდვა მომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი თავის თავს უფრო ბრძნად მიიჩნევს, ვიდრე ღვთის მცნებები და კანონებია. ასეთნი საკუთარ წესებსა და კანონებს გვთავაზობენ ან თავის ნაზრევს ღმერთს მიაწერენ. ამ მხრივ ყველაზე დიდი დანაშაული არის ეკლესიაში განსეთქილების ან მწვალებლობის შემოტანა. ამის ჩამდენნი მოწამეობრივი სიკვდილითაც რომ აღესრულონ, ცოდვას ვერ ჩამოიბანენ. ასევე უდიდესი ცოდვაა ქვეყნის მტრობა და მისი ერთიანობის დარღვევის მცდელობა.

ენებათა შორის ყველაზე დაფარული და გავრცელებული პატივმოყვარეობაა. ასეთი კაცი ყოველთვის საკუთარ „მეს“ უკმევს გუნდრუკს, თუმცა ცდილობს, ეს დაფაროს და სხვათა თვალში კეთილმსახურად გამოჩნდეს.

ეგოისტური „მე“-სგან განდგომა და საკუთარი თავის პირუთვნელი შეფასება უდიდესი ღირსება და აუცილებელი პირობაა ქრისტიანული ცხოვრებისა.

დევნილები არც წელს მიუშვეს ნათესავების საფლავებზე

ოქროპირიძეების ოჯახი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელ დისევიდან გამოვიდა. ახლა ისინი კარალეთის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობენ. სახლიდან მხოლოდ დაღუპული შვილის სურათი წამოიღეს. დისევი ოკუპირებულია, ოქროპირიძეები კი 9 წელია, შვილის საფლავზე გასვლის უფლებას უშედეგოდ ითხოვენ. მარიამ ოქროპირიძე ამბობს, რომ ყველაზე მეტად შვილის საფლავის და სოფელში დარჩენილი სახლის ნახვა უნდა.

ოქროპირიძეების მსგავსად, ათასობით დევნილი ოჯახი მიცვალებულ ნათესავებს სახლში იხსენიებს. გარდაცვლილების სურათებთან წითელ კვერცხებს აწყობენ, სანთლებს ანთებენ და შესანდობარს ამბობენ. ყოველწლიურად იმედი აქვთ, რომ ერთხელ მაინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ საფლავებსა და სალოცავებს მოინახულებენ, მაგრამ ეს იმედი 9 წელია, უშედეგოდ გრძელდება.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ იმედი, რომ ოსურ და რუსულ მხარეებთან მოლაპარაკებით ამ პრობლემის გადაწყვეტას შეძლებდნენ. აპრილის დასაწყისში ერგნეთში გამართულ ,,ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დღის წესრიგში დააყენა აღდგომის დღესასწაულის დღეებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების საკითხი. მოლაპარაკებები შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის კახაბერ ქემოკლიძის იმედი, რომ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, არ გამართლდა.

არანაკლებ რთული ვითარებაა საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სადაც სასაფლაოები და სალოცავები ეგრეთ წოდებული სასაზღვრო ბანერების სიახლოვეს მდებარეობს და იქ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები პატრულირებენ. ჯარიაშენი, აძვი, კირბალი — ეს იმ სოფლების არასრული ჩამონათვალია, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას სალოცავში მისვლისას აკავებდნენ და ცხინვალის იზოლატორში ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გადაჰყავდათ. სოფელ კირბალის სასაფლაოს ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული. ამ სოფლიდან ყველაზე მეტი ადამიანია დაკავებული ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, ამიტომ კირბალელები სხვა დღეებში სასაფლაოზე გასვლას ერიდებოდნენ ხოლმე. აღდგომის დღეებში დილიდან სოფელში გამყოფი ხაზის მიმართულებით პოლიცია პატრულირებს და მოსახლეობაც თავს შედარებით დაცულად გრძნობს.

გოგა აფციაური

ზვიად ძიძიგური:

ოსებთან და აფხაზებთან უფრო მეტი საერთო ენის გამონახვაა საჭირო...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად ძიძიგურმა „რეპორტიორთან“ საუბრისას მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მიმოიხილა:

— ბატონო ზვიად, შესაძლებელია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს დეფინიცია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა. უჭერთ თუ არა მხარს ამ ინიციატივას?

— სრულიად ვეთანხმები. ასეთი ტიპის დეფინიცია არის სამოქალაქო კოდექსში და ეს ჩანაწერი გადაინაცვლებს კონსტიტუციაში, ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიდის საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში.

მინდა, ყველას შევახსენო და ვუთხრა, რომ ევროკავშირის 28 ქვეყანაში ეს საკითხი დისპუტის თემა იყო და ბევრ ქვეყანაში ძალიან აქტიური მსჯელობა და განხილვა მიდიოდა ამაზე. ზოგმა ქვეყანამ კონსტიტუციაში ჩანაწერი გააკეთა იმის შესახებ, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა, ზოგმა არ გააკეთა, ზოგმა კი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონა. ეს ქვეყნის სუვერენული უფლება გახლავთ. აქ მთავარი ის არის, რომ ამ საკითხს აშშ და ევროპის ყველა ქვეყანა ეხმაურება, აქტუალურია, მსგავსია საქართველოშიც. გვესმის უამრავი კრიტიკა, თუ რა საჭიროა ამის ჩაწერა კონსტიტუციაში, ამით ირღვევა უფლებები, ერთი პარტია ამას ამბობს, მეორე პარტია კი ამბობს, რომ არ ირღვევა უფლებები, თუმცა ლგბტ თემის წარმომადგენლები პირდაპირ ამბობენ, რომ კონსტიტუციაში ასეთი ტიპის ჩანაწერის არსებობა მომავალში ერთნაირსქესიანთან ქორწინების დაკანონების აკრძალვაა. ჩვენ კონსერვატორები და კონსერვატიულად განწყობილი მოქალაქეები, პარლამენტარები და პოლიტიკოსები სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს ამ ინიციატივას. არ მიგვაჩნია, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება უნდა იყოს დაკანონებული, სამართლებრივად ამას არ უნდა ჰქონდეს არანაირი უზრუნველყოფა, ხოლო ქალისა და მამაკაცის ერთობა რომ ოჯახია, ეს კონსტიტუციით განსაზღვრული უნდა იყოს.

— საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის გადმოტანის საკითხსაც განიხილავს, თუმცა შემდეგ შეთანხმდით, რომ პარლამენტის ადგილმდებარეობა კონსტიტუციაში არ ჩაიწეროს. თუმცა ოპოზიცია წინააღმდეგია, საბოლოოდ რა შეთანხმებას მიაღწიეთ?

— კონსტიტუციაში პარლამენტის მდებარეობა არ ჩაიწერება. იქ არცერთი კონსტიტუციური ორგანოს მდებარეობა არაა მითითებული. ასეა მსოფლიო კონსტიტუციებშიც. პარლამენტის ადგილსამყოფელი ახლა იმიტომ არის მითითებული, რომ ასე უნდოდა მიხეილ სააკაშვილს, რომ პოლიტიკური ცენტრი თბილისიდან მოეშორებინა და ქუთაისში ან პერიფერიებში გადაეტანა. ამით ის ცდილობდა, პოლიტიკური ცხოვრებისთვის ხელი შეეშალა. კონსტიტუციონალისტები, სამართალმცოდნეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ასეთი ტიპის ჩანაწერი კონსტიტუციაში არ უნდა იყოს. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ქუთაისიდან პარლამენტმა ხვალვე გადმოინაცვლოს თბილისში. ასე არ მოხდება. ჩვენ ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანას არ ვჩქარობთ. იმ დიდი ბიზნესპროექტების განხორციელების შემდეგ, რომელიც ქუთაისშია დაგეგმილი, აეროპორტთან მიმავალი რკინიგზის მშენებლობა და ა.შ. ქუთაისელები დარწმუნდებიან, რომ არანაირი ეკონომიკური მოგება არ არის არც ქუთაისისთვის და არც საქართველოსთვის, რომ ორი პარლამენტი გვაქვს. მეტსაც გეტყვით, ეს ძალიან დიდი ფინანსური ტვირთია. სამომავლოდ, აუცილებლად გადმოვა პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში. ეს წინასაარჩევნო დაპირება იყო, მაგრამ უახლოეს პერიოდში არ განიხილება. თუმცა, ჩვენ ჩვენი დაპირების ერთგული ვრჩებით.

— ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში სახელის შეცვლასთან დაკავშირებით 9 აპრილს რეფერენდუმი ჩატარდა. სახელის შეცვლის ინიციატივას 78%-მა მხარი დაუჭირა. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ეს ჩვენი ქვეყნისთვის?

— რესპუბლიკებში ხშირად ტარდება ხოლმე რეფერენდუმები, არჩევნები, აკეთებენ სხვადასხვა ტიპის განცხადებებს. აქვთ მცდელობები სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და ამ მიმართულებით დგამენ ნაბიჯებს. ეს ყველაფერი ჩვენთვის მიუღებელია, საერთაშორისო თანამეგობრობაც იგივე პოზიციას აფიქსირებს. ასეთი ტიპის ნაბიჯებს საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს და კანონიერად არ მიიჩნევს. ჩვენ არაღიარების პოლიტიკა უნდა გავაგრძელოთ. მაგრამ, პარალელურად, რა თქმა უნდა, ოსებთან და აფხაზებთან საჭიროა უფრო მეტი ურთიერთობის მოძებნა, საერთო ენის მონახვა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ამ თემების მოგვარებისკენ ნაბიჯი გადავდგათ.

— IRI-ის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? რამდენად სანდოა ის მონაცემები, რომელიც კვლევის შედეგებშია ასახული?

— ამ კვლევებს მხოლოდ მაშინ დავუჯერებ, როდესაც კვლევისა და არჩევნების შედეგები ერთმანეთს დაემთხვევა. საქართველოში კი მსგავსი რამ არ მომხდარა. დიდი ხანია, პოლიტიკაში ვარ და არ მახსოვს აქ ჩატარებული კვლევები და არჩევნების შედეგები ერთმანეთს დამთხვეოდა. ახლაც, წინაასაარჩევნოდ IRI-მ და NDI-მ გამოაქვეყნა კვლევები, სადაც „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთი და იგივე რეიტინგი ჰქონდა. ერთი ისეთი კვლევაც გამოქვეყნდა, სადაც „ნაციონალებს“ მეტი რეიტინგი ჰქონდათ. არჩევნები კი სულ სხვა შედეგით დასრულდა. ეს კვლევების თემა ჩემთვის უკვე ღიმილის მომგვრელი გახდა.

— სამთავრობო ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით რას იტყვით, რამდენად მოგწონს იდეა?

— სამთავრობო ქალაქის მშენებლობა არასწორად შუქდება, თითქოს მთავრობას თავისთვის სურს კომფორტის მოწყობა, მაგრამ, ეს ასე არაა. პირველ რიგში, ეს მოქალაქეებისთვის იქნება კომფორტული. როდესაც ადამიანი რამდენიმე სამინისტროშია მისასვლელი და სამინისტროები ერთმანეთის გვერდითაა, მოქალაქეებისთვის გაცილებით მარტივი იქნება.

მეორე საკითხი, სამინისტროებს ქალაქის ცენტრში ძალიან ძვირად ღირებული შენობები აქვთ. შესაძლებელია, ეს შენობები გაიყიდოს და ბიუჯეტში თანხა შევიდეს. ორთაჭალაში სამთავრობო ქალაქის მშენებლობა კი გაცილებით იაფი დაჯდება.

ესაუბრა
სალომე უერთაშვილი

კარლო კოპალიანი:

ჩემი დიდი პატივისცემა ქუთაისს, მაგრამ პარლამენტი თბილისში უნდა იყოს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კარლო კოპალიანმა „რეპორტიორთან“ საუბარში პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა შეაფასა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, გიორგი მარგველაშვილის გამოსვლა ქვეყნის მეთაურის გამოსვლას არ ჰგავდა. მან ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები შეაფასა. გთავაზობთ მასთან საუბარს.

— ბატონო კარლო, რამდენიმე დღის წინათ IRI-ის კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. რამდენად სანდოა თქვენთვის?

— IRI-ის კვლევის შედეგების შეფასება არის ამ პროგნოზების შემდგომი გამართლება. რამდენჯერაც ასეთმა ოდიოზურმა ორგანიზაციებმა კვლევები ჩაატარეს, არცერთი კვლევა არ გამართლდა. ძალიან კარგად იცის ყველამ, რომ ასეთ ორგანიზაციებს ხელშეკრულება ბატონი თარხნიშვილის ოჯახთან აქვთ დადებული და მათი დავალებით ატარებენ კვლევებს. მე მათი გამოკითხული ჯერჯერობით ვერავინ ვნახე. საბოლოოდ, მინდა ვთქვა, რომ IRI-ის კვლევებს არ ვენდობი.

— 9 აპრილს ცხინვალის რეგიონში სახელის შეცვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა, სადაც 78%-მა მხარი დაუჭირა სამხრეთ ოსეთის ნაცვლად ალანიის დარქმევას...

— ცხინვალის რეგიონში ჩატარდა ისეთი რეფერენდუმი, როგორიც ტარდება საერთოდ რუსეთში. ეს, ალბათ, გარკვეულწილად იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელსაც რუსეთი საქართველოსა და კავკასიის მიმართ ახორციელებს. აფხაზები და ოსები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ ჩვენთან ერთად და სამწუხაროა, რომ ერთი ქვეყნის რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს ემსხვერპლა ეს ურთიერთობა. ტრაგედიაა ის, რომ ისინი აცხადებენ პრეტენზიას იმ მიწაზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული იყო და ურცხვად და უტიფრად აცხადებენ, რომ ის არის მათი. ჩვენ ვიბრძოდით, ვიბრძვით და ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის და დღეს თუ ასეთი სიტუაციაა, მომავალში, დამერწმუნეთ, სხვა ბევრად უკეთესი იქნება.

— შესაძლებელია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს დეფინიცია, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. უჭერთ თუ არა მხარს ამ ინიციატივას?

— წინა მოწვევის პარლამენტში ამის ინიციატორი იყო უმრავლესობა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სამოქალაქო კოდექსში წერია აღნიშნული ფორმულირება, მაგრამ არ წერია კონსტიტუციაში. მავანს შეეძლო ნებისმიერ დროს გაეპროტესტებინა ეს და ეთქვა, რომ არაკონსტიტუციურია. აღნიშნული ინიციატივა სწორედ ამის გასწორებას ემსახურებოდა. მე ამ კანონის ერთ-ერთი ინიციატორი ვარ, ხელი მოვაწერე და ძალიან კარგია, რომ საკონსტიტუციო კომისია ამ საკითხს განიხილავს. დარწმუნებული ვარ, ისე დამთავრდება, როგორც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უნდა. კანონი უნდა მოერგოს ჩვენს ტრადიციასა და ისტორიას. თუმცა, ჩვენს ოპონენტებს მინდა შევახსენო, რომლებიც ხმალამოღებული იბრძვიან სიტუაციების არევისთვის, რომ ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების შესახებ გადაწყვეტილებები გაუქმდა და უქმდება, რადგან ხალხის სერიოზული აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია.

— არსებობს ინფორმაცია, რომ შესაძლოა, 7 თვითმმართველ ქალაქს სტატუსი გაუუქმდეს. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა ამგვარი ღონისძიების გატარება?

— წინა მოწვევის პარლამენტი ამ საკითხს განიხილავდა და მაშინ იყო სულ სხვანაირი პროექტი. იყო შემოთავაზებული მუნიციპალიტეტების 3-4 ნაწილად დაყოფა. მაგალითად, თელავი უნდა დაყოფილიყო 3 მუნიციპალიტეტად და ჰყოლოდა 3 მმართველობითი ორგანო. ამან პროტესტი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მაშინდელ პარლამენტში და შევჯერდით იმაზე, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დაემატა შვიდ რეგიონს. პრეტენზიები არის იმასთან დაკავშირებით, რომ ფიქრობენ, თუ ქალაქის მერიაში მუშაობენ, დარჩებიან უმუშევრები. ხელისუფლებამ მისცა ამის გარანტიები, რომ ადამიანურ რესურსებს ეს ცვლილება არ შეეხება. ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი მსჯელობის საგანია და ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლება არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც საზიანო იქნება ქალაქისთვის, მოსახლეობისთვის ან იქ დასაქმებული რომელიმე მოქალაქისთვის.

— რამდენად მისაღებია თქვენთვის სამთავრობო ქალაქის მშენებლობა?

— პირადად მე, ყველა მშენებლობას მივესალმები. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენს ქვეყანას ამის საშუალება აქვს. ჩემი შეხედულებით, სამთავრობო ქალაქის მშენებლობის საკითხი მას შემდეგ უნდა წამოვწიოთ, როდესაც ძირითად პრობლემებს მოვხსნით ქვეყანაში. ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ სამთავრობო ქალაქის მშენებლობა პირდაპირ ებმის პარლამენტის მდებარეობას. მიმაჩნია, რომ თუ პარლამენტი ქუთაისში რჩება, მაშინ სამთავრობო ქალაქიც ქუთაისში უნდა ავაშენოთ, რადგან პარლამენტისა და მთავრობის დაყოფა არ შეიძლება. ეს იყო მარაზმი და სააკაშვილის ხუშტური, რათა თბილისში საპროტესტო აქციები არ ყოფილიყო და პოზიციის დაქსაქსვა უნდოდა. ჩვენ უნდა დავითვალოთ, ქუთაისს რა მისცა პარლამენტის იქ ყოფნამ და ან რამდენით დაეზარალა ქვეყნის ბიუჯეტი ჩვენმა იქ მოგზაურობამ.

— გინდათ თქვათ, რომ ემხრობით პარლამენტის თბილისში გადმოტანას?

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, მთავრობა თბილისში, პარლამენტი ქუთაისში. 5-წუთიანი საკითხი რომ ჰქონდეს მთავრობას პარლამენტში გასატანი, უნდა წამოვიდეს თბილისიდან მინისტრი ან მინისტრის მოადგილე 5 წუთისთვის და ისევ უკან წავიდეს. ძალიან დიდი დრო და რესურსი იკარგება. ძალიან დიდ პატივს ვცემ ქუთაისს, მაგრამ პარლამენტის იქ ყოფნა ქუთაისს არაფერს აძლევს.

ესაუბრა
მარიამ პაიჭაძე

კრემლისა და ერებუნის მორიგი „გამონათება“...



ახალქალაქის საკრებულო „სომეხთა გენოციდის“ აღიარებას გეგმავს?

სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალი ახალქალაქის რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოს („საკრებულოს“) დეპუტატებმა თავმჯდომარეს მიმართეს მოთხოვნით, მოიწვიოს საკრებულოს რიგგარეშე-საგანგებო სხდომა 24 აპრილს, როდესაც სომხეთი და მთელი მსოფლიოს სომხური დიასპორა აღნიშნავს თურქეთის იმპერიაში „სომეხთა გენოციდის“ მორიგ წლისთავს.

წინასწარი, ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციით, იგეგმება „გენოციდის აღიარება“ იმ მოტივით და არგუმენტაციით, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთში აჯანყებულ სომეხთა ჟლეტას სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მისცა ბევრმა სახელმწიფომ და, რაც ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ნიშანდობლივია, არაერთი სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონმაც.

მაგალითად, ის ტრაგიკული მოვლენები „გენოციდად“ უკვე აღიარა ოცდაათმა ქვეყანამ; ამავე დროს, ავსტრალიის, ბრაზილიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონებმაც.

ვთქვათ, ამერიკაში, „სომეხთა გენოციდი“ ცნო არა მხოლოდ კალიფორნიამ, რომლის მთავარ ქალაქ ლოს-ანჟელესს ხუმრობით „ლოს-არმინიას“ უწოდებენ ამერიკელები სომხური დიასპორის სიმრავლის გამო, არამედ შტატების უმრავლესობამ: 44-მა შტატმა 52-დან!

ერთი შეხედვით, თითქოს, სად კალიფორნია და სად — ახალქალაქის რაიონი? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: პოლიტიკა უცნაური, გარკვეული აზრით პარადოქსული ფენომენია და ვერასდროს „მარტივდება“, ანუ „მარტივ ცვლადებზე“ ვერ დაიყვანება: პოლიტიკური თვალსაზრისით, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი „ახალქალაქი“ იქნება კალიფორნია ეკონომიკური, ინდუსტრიული თუ სხვა რესურსებით. „უცვლადი“ აქ ისაა, რომ საქართველო თურქეთის მეზობლად მდებარეობს, არსად წასვლას არ ვაპირებთ და ვერც ვერსად წავალთ (ძალიანაც რომ გვინდოდეს), ხოლო ამ საკითხს, საქართველოსთვის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, სამკვდროსასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს!

* * *

მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მოხდა თურქეთში, სადაც საბოლოოდ გაიმარჯვა „ისლამურმა“ პროექტმა, ხოლო ახლად გაჩენილი ავტოკრატი-პრეზიდენტი ერდოღანი, ამიერიდან, იძულებული იქნება მთავარ ოპონენტებს — ქემალისტურ-ნაციონალისტურ ძალებს — ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება უმტკიცოს დღენიადაგ. და თუ ამ სიტუაციაში მეზობელი, სუსტი, რეალურად უპატრონო და უმწეო საქართველოს თუნდაც რეგიონი ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, რეაქცია არა მხოლოდ თურქეთის, არამედ აზერბაიჯანის მხრიდანაც იქნება მძვინვარე!

ომს არავინ დაგვიწყებს, თუმცა ბოლო 10-15 წლის „სწორხაზოვანი“ და დაუბალანსებელი საგარეო პოლიტიკის „წყალობით“ უამრავი სხვა ბერკეტიც აქვთ მაშინ, როდესაც ის, რაც ჩვენ „ბერკეტი“ გვგონია (იგივე „მილსადენი“ და სხვა), მხოლოდ „ფეიკია“ დასავლეთის სამხედრო-სტრატეგიული გარანტიების გარეშე, ანუ ისევე ვერ იმუშავებს, როგორც რუსეთის წინააღმდეგ ვერ იმუშავა 2008 წელს.

* * *

თვით ინფორმაცია — საგანგებო თუ რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ — ოფიციალურად ჯერჯერობით არ დასტურდება. თითქოს ყველა უარყოფს „ადგილზეც“ და „ცენტრშიც“. ოღონდ უარყოფენ არა სომეხ დეპუტატთა ნაწილის ინიციატივას, არამედ სხდომის მოწვევას; აქაოდა, კი მოითხოვეს, მაგრამ არ ჩატარდება ან თუ ჩატარდება, „ამგვარი“ დღის წესრიგით ვერ ჩატარდებაო.

ერთი სიტყვით, „შეუძლებელია“ იმიტომ, რომ... „არ არის შესაძლებელი!“.

საოცარი არგუმენტიც მოჰყავთ: „კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანო ამგვარ საკითხებზე მსჯელობდეს და, მით უმეტეს, გადაწყვეტილებებს იღებდესო“. კი მაგრამ, კატალონიამ ესპანეთის კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედა, როცა „სომეხთა გენოციდი“ ცნო? რა თქმა უნდა, არსად წერია და თითქოს „სასაცილოცაა“, რაიონულმა საკრებულომ „გენოციდის“ თემაზე იმსჯელოს, ან რაიმე რეზოლუცია თუ დადგენილება მიიღოს, მაგრამ... არც ის წერია სადმე, რომ არ შეიძლება იმსჯელოს ან ელემენტარულად, ვერ შეიკრიბებიან და ვერ მიიღებენ განცხადებას (თუ არა რეზოლუციას), რასაც იდენტური ცოფიანი მოჰყვება ჩვენს უახლოეს სამეზობლოში.

* * *

არც ის გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ახალქალაქში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები ერევნიდან უფრო იმართება, ვიდრე თბილისიდან. ერევანი კი მოსკოვთან „პირდაპირ ხაზზეა“. აბსოლუტურად დაუჯერებელია, ეს ინიციატივა (თუნდაც ინიციატივა თავისთავად) მხოლოდ ადგილობრივ „პასიონართა“ გონებრივი გამონათება იყოს. მაშასადამე, კრემლის, აგრეთვე ერებუნის კალკულაციით, რაღაც ისეთი გეოპოლიტიკური დისპოზიცია შეიქმნა ამჟამად, რომ დღეს უკვე შესაძლებლად მიიჩნევა ის, რაც გუშინ არამიზანშეწონილად მიაჩნდათ. სხვაგვარად გაუგებარია, 25 წლის განმავლობაში, რაღა დღეს დაისვა ეს საკითხი პირველად?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაკი კარასინთან ან სერგეი ოვანესოვიჩ ლავროვ-კალანტაროვთან ამ საკითხებზე მსჯელობას არანაირი აზრი არა აქვს, თბილისმა „არაოფიციალური არხები“ დაუყოვნებლივ უნდა აამოქმედოს, რათა ერევანმა ახალქალაქში საკუთარ კრეატურას „უკანა სვლა“ ჩაართვევინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაიონული საკრებულოს „ლიტონი განცხადება“ ისეთ კატასტროფულ პროცესებს დაუდებს სათავეს, რომელთაც ეს ქვეყანა ნამდვილად ვეღარ გადაიტანს.

დავით ავალიშვილი

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლედან



● ჩვენ ერთმანეთს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ ხოლმე და ამისათვის მეტ-ნაკლებად ყველანი ვზრუნავთ, მაგრამ ყველა არ ზრუნავს იმისათვის, რომ სწორად, ღვთისნიერად იცხოვროს; არადა, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფლის ნებაზეა დამოკიდებული, სწორად ცხოვრება კი — ჩვენზე. შევთხოვთ ღმერთს, ეს იქცეს ყოველი ადამიანის უმთავრეს მიზნად.

— რით დავიწყოთ?

— სინანულით, როგორც გვასწავლის წმინდა იოანე ნათლისმცემელი, როგორც გვასწავლის იესო ქრისტე.

იგია სასწაულთმოქმედი წამალი ჩვენი სულისა!

სინანული ზეციური ნიჭია და წყალობაა, რომელიც ღვთის მსჯავრსაც კი სცვლის; სცვლის პიროვნებისადმი როგორც შემოქმედის, ისე მოყვასის დამოკიდებულებას. მეძავიც, ქურდიც, ამპარტავანიც, მოშურნეც, ლოთიც, შეურაცხმყოფელიც და მოძალადეც გულწრფელი სინანულით, ადსარებითა და ზიარებით მთელ ჭუჭყს იცილებს და ბოროტებას ასამარებს.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნათლისღების განახლებაა, ცოდვით მომკვდართა აღდგომა და ღმერთთან კავშირის განახლებაა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილი ცოდვის შესაბამისი იქნება.

უფლისათვის ცოდვის სიმძიმე იმდენად გამამწარებელი არ არის, რამდენადაც გამოსწორების სურვილის არქონა. ხოლო ცოდვით თავმოწონება ან საზოგადოებისთვის მისი თავსმოხვევა გაცილებით დიდი დანაშაულია.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ სინანული დროის ხანგრძლივობით არ განისაზღვრება, არამედ განცდის სიღრმით, რადგან სხვა არის სამართალი ღვთისა და სხვა ადამიანისა. ამასთან სულიერ კიბეზე ამაღლება ნებისმიერ პიროვნებას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია და ამ წუთისოფელში არ არსებობს ბოროტება, არ არსებობს ისეთი დაცემული მდგომარეობა, საიდანაც უფლისაკენ მობრუნება იყოს შეუძლებელი, რადგან არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას.

1000 ძირი მუხა პაშა ბანკისგან

პაშა ბანკმა კლიენტებს და პარტნიორებს აღდგომის დღესასწაული წელსაც განსხვავებული ფორმით, ამჯერად „მწვანე პროექტით“, მიულოცა. ბანკის ინიციატივით აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე დაირგო 1000 ძირი ქართული მუხა (Quercus Iberica) და იმერული მუხა (Quercus Imeretina). ეს უკანასკნელი შესულია წითელ ნუსხაში და მინიჭებული აქვს გადაშენების საფრთხის პირას მყოფი მცენარის სტატუსი. ნერგები დაირგო აჯამეთის აღკვეთილში გამოყოფილ ერთ-ერთი უბანზე, სადაც ქართული მუხისა და იმერული მუხის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს. დარგვით სამუშაოებში ასევე ჩაერთნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები და ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები.

შეგახსენებთ, რომ საახალწლოდ პაშა ბანკის ინიცირებით ბორჯომის მახლობლად 260 ჰექტარი გადამწვარი ტყის აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში 2017 ძირი ქართული ფიჭვის ნერგი დაირგო. ბანკი სამომავლოდაც გეგმავს ეკო პროექტების განხორციელებას.

რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 24,4 პროცენტით გაიზარდა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2017 წლის მარტის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 5 071 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 95.4% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 4.6% — არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010:100) 1.159 დონეზე აღირიცხა.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

სტალინმა იცოდა არა მხოლოდ იმათ შესახებ, ვისაც შეეძლო მტერთან ბრძოლა, არამედ დაღუპულთა შესახებაც. გენერალმა ი.ნ. რიჟკოვმა, რომელიც ომის წლებში გენერალურ შტაბში მუშაობდა, უამბო ვიაჩესლავ მოლოტოვს (მან კი ეს გაუზიარა მწერალ ფელიქს ჩუევს), თუ როგორ იწერებოდა ბრძანება პირველი სალუტის შესახებ ორიოლისა და ბელგოროდის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ბრძანებაში დაავიწყდათ ეთქვათ დაღუპულთა შესახებ. შეახსენა სწორედ სტალინმა. დაუმატეს: **„იცოდეთ, არა ხსოვნა, არამედ დიდება. ხსოვნა გაისმის ეკლესიურად. სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის!“** ბრძანებაში ასეც ჩაწერეს, შემდეგ ამ ფრაზას წერდნენ ობელისკებზე და იმეორებდნენ კინოფილმებში.

სტალინი მზრუნველი ხელმძღვანელი იყო, ის ხალხს ადამიანურად ეპყრობოდა.

„მკაცრი მოთხოვნა სამსახურში და, ამავდროულად, ზრუნვა ადამიანისათვის განუყოფელი იყო მისთვის, ეს თვისებები ეხამებოდნენ მასში ერთმანეთს ბუნებრივად, როგორც ერთი მთლიანის ორი ნაწილი და მათ მეტად აფასებდა ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობა უწევდა. ასეთი საუბრების შემდეგ როგორღაც ავიწყდებოდათ მძიმე ტვირთი და გაჭირვებანი. თქვენ გრძნობდით, რომ გელაპარაკებათ არა მხოლოდ ბედისწერათა აღმსარებელი, არამედ უბრალო ადამიანი“ (ა.გოლოვანოვის მოგონებათა წიგნიდან).

ამის ნათელი მაგალითია მარშალ კონევის მოგონებები. უმალვე ომის დამთავრებიდან სტალინმა რამდენიმე სამხედრო გამოიძახა. საუბრის დროს კონევს შეეკითხა შვებულების შესახებ.

— როგორია თქვენი ჯანმრთელობა?
— ისე რა, ამხანაგო სტალინ.
— შვებულებაში მიდიხართ?
— დიახ, მივდივარ.
— რა ხნით?
— თვენახევრით.
— ეს რაა, ბულგანინი თვენახევარს გაძლევთ?
— დიახ, მეტი არ შეიძლება, ამხანაგო სტალინ.
— ეს როგორ არ შეიძლება?
მიმართავს ბულგანინს:
— მიეცით სამი თვე. მასაც სამი თვე, მასაც სამი თვე, მასაც სამი თვე, მასაც სამი თვე. უნდა გვესმოდეს, თუ რა ტვირთი გადაიტანეს თავიანთ მხრებზე. როგორი სირთულე და სიმძიმე იყო, როგორ დაიღალნენ. უნდა გვესმოდეს, როგორ დაიღალა ხალხი, რა არის თვენახევარი? საჭიროა სამი თვე, რომ იგრძნონ, მოიყვანონ თავი წესრიგში, დაისვენონ, იმკურნალონ. ეს როგორ არ უნდა გავიგოთ? ამას ვერ ხვდება ბულგანინი, ვერ ხვდება. არ მესმის, როგორ არ უნდა გაიგოს. არა, არ ესმის. რა ესმის მას? არაფერი მას არ ესმის.

აი, რა გამომიგზავნა ერთმა მკითხველმა. ეს მისი საოჯახო ისტორიაა, რომელიც აქამდე არსად გამოქვეყნებულა. იგი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს სტალინის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი.

„ბაბუაჩემის ძმა ალექსანდრ ნიკოლოზის ძე კუზნეცოვი მთელი სამამულო ომის პერიოდში ა.ა.ჟდანოვის რეფერენტად მუშაობდა. ჟდანოვის სიკვდილის შემდეგ 1948 წელს ის გაგზავნეს ლატვიაში ერთ-ერთი შორეული საოლქო კომიტეტის მდივნად. იმ დროს იქ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა „ტყის ძმებთან“ — ნაცისტების გაუნადგურებელ ხელშემწყობებთან, ალექსანდრ ნიკოლოზის ძეს რამდენჯერმე ესროლეს ბუჩქებიდან, როდესაც ის მანქანით ან ურმით მიდიოდა. 1948-1949 წლებში „ტყის ძმების“ აქტივობა ოლქში, სადაც ბაბუაჩემის ძმა მუშაობდა, რამდენადმე შემცირდა: შინსახკომის მუშაკებს აქტიურად ეხმარებოდნენ კომკავშირული ახალგაზრდობა და სხვადასხვა მოხალისეები ადგილობრივი მოსახლეობიდან.

მაგრამ ერთხელ ღამით სახლში, სადაც ბაბუაჩემის ძმა ცხოვრობდა ცოლთან და ორ პატარა ბავშვთან, შემოვარდა ყუმბარა-ლიმონკა. ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ როგორღაც მოახერხა დაეჭირა იგი და გადაეგდო ფანჯრიდან, რის შემდეგაც ყუმბარა ბაღჩაში აფეთქდა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა წასულიყო მოსკოვში სტალინთან მიღებაზე და ეთხოვა სხვა სამუშაოზე გადაყვანა, ვინაიდან არ უნდოდა გაერისკა თავისი ოჯახის წევრების სიცოცხლე. ეს საკმაოდ სარისკო საქციელი იყო —„პარტიის ჯარისკაცს“... შეეშინდა. სტალინმა ბაბუაჩემის ძმა მიიღო საკმაოდ თავშეკავებულად. მან ყურადღებით მოუსმინა მომსვლელს, ადგა და დიდხანს მდუმარედ დადიოდა კაბინეტში. შემდეგ დაახლოებით ასეთი რამ თქვა (ბაბუაჩემის სიტყვებით):

— პარტია თავის საუკეთესო მებრძოლებს პოლიტიკური ბრძოლის პასუხსაგებ უბნებზე აგზავნის, არ ეკითხება მათ თანხმობას. თქვენ, როდესაც კომუნისტური პარტიის რიგებში შედიოდით, იცოდით ამის შესახებ?

ბაბუაჩემის ძმამ უპასუხა, რომ, რასაკვირველია, იცოდა. შემდეგ დაუმატა, რომ მზადაა მიიღოს ნებისმიერი სხვა დანიშვნა, მიიღოს ნებისმიერი პარტიული საყვედური, მაგრამ არ უნდა გარისკოს თავისი პატარა ბავშვების სიცოცხლე. მაშინ სტალინი იქვე მჯდომ მოლოტოვს შეეკითხა: „ვიაჩესლავ, როგორ მოვიქცეთ ამხანაგ კუზნეცოვთან დაკავშირებით?“

მოლოტოვმა გაუბედავად უპასუხა, რომ უცბად ამას ვერ გადაწყვეტ. ბრძოლა ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ დამთავრებულა. იქნებ ბავშვები მოსკოვში გავგზავნოთ? მაშინ ი.ბ. სტალინმა მოქაჩა ჩიბუხი და ისე, რომ არ შეუხედია ალექსანდრ ნიკოლოზის ძისთვის, წარმოთქვა:

— წაბრძანდით, ჩვენ მოვიფიქრებთ, თუ რა გადავწყვიტოთ თქვენთან დაკავშირებით.

ბაბუაჩემის ძმა მეტად დაბნეული წავიდა მოსკოვის თავის ცარიელ ბინაში. ორი დღის შემდეგ მას დაურეკა სტალინმა:

— გამარჯობათ, ალექსანდრ ნიკოლოზის ძევ! მართალია, რომ ამბობენ მთელი „ევგენი ონეგინი“ ზეპირად იცისო?

ალექსანდრ ნიკოლოზის ძე მიხვდა — იმის შესახებ, რომ მან მართლაც ზეპირად იცის „ონეგინის“ თითქმის ყველა თავი, სტალინს შეიძლება გაეგო გარდაცვლილი ე.ა. ჟდანოვისგან და უპასუხა:

— თითქმის ყველა, იოსებ ბესარიონის ძევ, მე ძალიან მიყვარს პუშკინი და ხშირად ვკითხულობ მას.

— სხვა რუს მწერლებთან დაკავშირებით როგორაა საქმე? — კვლავ შეეკითხა სტალინი.

— მე სახლში რუსული კლასიკის კარგი ბიბლიოთეკა მაქვს, იქ ბევრი შედევრია. ვკითხულობ, როცა დრო მაქვს.

— ჩვენ ვიფიქრეთ, გავითვალისწინეთ თქვენი დამსახურებანი პარტიის წინაშე და გადავწყვიტეთ დავაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა ლატვიიდან გადაყვანის შესახებ. გაართმევთ თავს კულტურის მინისტრის მოადგილის მოვალეობას? — შეეკითხა სტალინი.

ალექსანდრ ნიკოლოზის ძე უმალვე დაეთანხმა და შემდეგ პენსიამდე მუშაობდა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, ყოველთვის კმაყოფილებით იხსენებდა ბელადის დახმარებას (ეს ისტორია წიგნის ავტორს ანდრეი კუზნეცოვმა გაუგზავნა).

და ომის დროის კიდევ ერთი ეპიზოდი. უბრალო ადამიანს შეეძლო იმედი ჰქონებოდა და ეგრძნო სსრ კავშირის მეთაურის ყურადღება. ომამდე ამ ისტორიის მომყოლი ქალბატონის ოჯახი, თავად ის მაშინ პატარა გოგონა იყო, ქალაქ კეკსგოლმში (დღეს პროზერსკაია) ლენინგრადის მახლობლად, დაიწყო ომი და მოახდინეს ცხრა წლის გოგონას, ფეხმძიმე დედასთან ერთად, ევაკუირება. ერთ დღეს მათი ეშელონი ჩავიდა შუალედურ სადგურზე ქალაქ რიბინსკში. იქ დედის და ცხოვრობდა.

„ეშელონი აქ უნდა მდგარიყო ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში დედაჩემი და მე წავედით დეიდას სანახავად. როდესაც დაინახა, როგორი გაწამებულები ვიყავით, ბარგის გარეშე დეიდამ შესთავაზა დედაჩემს დავეტოვებინა მასთან ომის დამთავრებამდე (მაშინ ბევრს, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, სწამდა, რომ ომი მალე დამთავრდებოდა. დედაჩემი დათანხმდა. სანამ ის, უცნობია რა გზით მიდიოდა დონის როსტოვამდე — ჩვენ სამშობლომდე, გერმანელები მოვიდნენ რიბინსკში, და დეიდის ოჯახთან ერთად ჩვენი ევაკუაციაც მოახდინეს ბარჟებით ვოლგაზე და ჩვენც არ ვიცოდით, სად მოვდიოდით. ბოლოს, ჩავაღწიეთ ნიჟნი ტაგილში — ჩვენი გზის ბოლო ადგილამდე.

როსტოვი ორჯერ იყო გერმანელების ხელში, და არანაირი კავშირი დედასთან არ მქონია, მით უმეტეს, რომ მას მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. დეიდას ცხოვრება ისე აეწყო, რომ მომიწია მისგან ბავშვთა სახლში წასვლა. მე გამაგზავნეს პატარა ქალაქ ზემო ტავდში, ძალიან კარგ ბავშვთა სახლში, რომელსაც ჰყავდა შესანიშნავი დირექტორი და მზრუნველი აღმზრდელები. ომში, ალბათ, ყველა ადამიანს აქვს გული. იქ მე 1943 წლის ოქტომბრამდე ვიყავი. და აი, ერთ დღეს მიძახის დირექტორი და მეუბნება:

— ედა, ჩვენ შენ დედასთან გაგზავნით სახლში, რუსეთში, და გამცილებელსაც გამოგიყოფთ.

მაშინ მე ეს ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიე: რახან აღმოჩნდა დედა — ბავშვს მასთან აგზავნიან. მით უმეტეს, რომ მაშინ მშობლებთან გაგზავნეს კიდევ ერთი ბიჭი ჩვენი საბავშვო სახლიდან, ქალაქ ნოვოშახტინსკში. ჩემს ბავშვის გონებას არ შეეძლო გაეგო, რომ მოხდა სასწაული. როდესაც ქვეყანა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო, როდესაც დღისით და ღამითაც მიდიოდნენ დასავლეთისკენ ეშელონები ჯარისკაცებითა და იარაღით, ვიღაც დაკარგულ პატარა გოგონას, რომელიც ამავე დროს იყო დახვრეტილი ხალხის მტრის შვილი, წავლენ ამ მდულარე ქვაბში და გაგზავნიან დედასთან, რიგით საქმეთა მმართველთან“ (ესაა ედიტა ადრიანოვას ნაამბობი).

1943 წლის 11 ნოემბერს, ხუთი გადაჯდომის შემდეგ (მათ შორის დანგრეულ სტალინგრადშიც), გოგონა გამცილებელ ქალთან ერთად ჩავიდა დონის როსტოვში, და გადასცეს დედას. როგორ იპოვა დედამ შვილი? თურმე, ქალმა მისწერა წერილი სტალინს და მისი შვილი მიუყვანეს.

მაგრამ არც ესაა ისტორიის დასასრული.

„გავიდა კიდევ გარკვეული დრო. ერთხელ ოთახში მოვიდა ქალი-მილიციონერი და შეეკითხა დედას: „ეს თქვენა ხართ ტატიანა ვლადიმერის ასული კოშევაროვა?“ როდესაც დამადასტურებელი პასუხი მოისმინა, ქუდთან ხელი მიიტანა და ხელმოწერით დედას გადასცა დიდი პაკეტი, რომელსაც ხუთი დალუქული ბეჭედი ესვა, და წავიდა. ვხსნით პაკეტს და ვკითხულობთ ქაღალდს გრიფით „უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის პირადი მისაღები“. ტექსტში ნათქვამი იყო: „თქვენი წერილი ამხანაგ სტალინის სახელზე მივიღეთ. თქვენი თხოვნა შესრულებულია“. შემდეგ იყო თანამდებობა და სახელი, აღარ მახსოვს ვისი. ტექსტი კი ჩამებეჭდა მეხსიერებაში ფოტოგრაფიულად, სამუდამოდ, რასაკვირველია, მესმის, რომ პირადად სტალინს არ შეეძლო ეკეთებინა ასეთი საქმეები. მაგრამ მან შექმნა უბრალო ადამიანებთან ყურადღების წესრიგი, და ეს წესრიგი განუხრელად სრულდებოდა“... (იგივე ავტორის ნაამბობიდან).

... ახლა ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ბოროტად გამოეყენებინათ სტალინის ყურადღებიანობა და ადამიანურობა. ზოგიერთი ზრუნვას თავისი თავისადმი აღიქვამდა ჩვეულებრივ ანდაზურ თქმად: გაძლევენ — აიღე. და ცდილობდნენ აეღოთ. ასეთ ადამიანებს სტალინი უბრალოდ თავიდან იშორებდა და საპასუხისმგებლო საქმეებს მათ უკვე აღარ ავალებდა. სიდამპლე ხომ, თუ ის ადამიანს აქვს, აუცილებლად აისახება სახეზე.

„ერთი ამხანაგი მეტად პასუხსაგებ პოსტზე დანიშნეს და, ბუნებრივია, სტალინთან ურთიერთობა მისთვის ხშირი გახდა. ერთხელ სტალინი დაინტერესდა, თუ როგორ ცხოვრობდა ეს ამხანაგი, ხომ არაფერი სჭირდება მას, როგორია მისი საყოფაცხოვრებო პირობები? თურმე, მას სჭირდებოდა ბინა. ბინა მან, რასაკვირველია, მიიღო, მალე კი მას სტალინი კვლავ შეეკითხა, ხომ არაფერი სჭირდებოდა, აღმოჩნდა, რომ სიდედრს თუ ვიღაც ნათესავსაც უნდოდა საცხოვრებელი ფართობის მიღება. ასეთი ფართობი მიიღო. შემდგომ ამხანაგმა, რომელმაც გაიგო, რომ უარს არაფერზე ეუბნებოდნენ, უკვე თვითონ დასვა საკითხი ვიღაც მისი ნათესავისთვის ბინის მიღების შესახებ. ამით, არსებითად, დამთავრდა კიდეც მისი სამსახურებრივი კარიერა, თუმცა სტალინმა თავის თანაშემწე ა.ნ. პოსკრებიშევს დაავალა, განიხილოს საკითხი ამ თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ. არ ვიცი, მიიღო თუ არა მან კიდევ ერთი ბინა, მაგრამ ბანაკში ის მე აღარ შემხვედრია, თუმცა ვიცოდი, რომ არმიაში სამსახურს ის ისევ აგრძელებს“ (ი.გოლოვანოვის მოგონებიდან).

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-79

მეცნიერის, გენერლის, მოქალაქის შემოქმედებითი შუადღე

საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა. ქართველ ხალხს უძველესი დროიდან მუდმივად ხმლის ქნევა და მრავალრიცხოვანი მტრის მოგერიება უხდებოდა. ამ პირობებში სათანადოდ განვითარდა მისი სამხედრო ხელოვნება, რის ღრმად შესწავლა და განზოგადება, ქართული სამხედრო მეცნიერების, ანუ ეროვნული უშიშროების სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როცა ქვეყანა არაკეთილისმსურველი მეზობლებით არის გარემოცული, საშური რამ არის.

ამ ურთულეს და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმეს არის შეჭიდებული ცნობილი მკვლევარი, გენერალ-ლეიტენანტი გივი იასეშვილი. მის ფუნდამენტურ ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებულია უდიდესი სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის, მეფე დავით IV აღმაშენებლის წვლილი. მან განახორციელა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა – ყივჩაყთა ჩამოსახლება საქართველოში; ყივჩაყთა შენაერთები, როგორც ბრძოლის ველზე, ისე დამოუკიდებელი დამარბეველი ლაშქრობებით აქტიურად მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებლის განუწყვეტელ ომებში, რომელთა მიზანიც სელჩუკთაგან ქვეყნის განთავისუფლება და აქ ჩასახლებული მომთაბარე ტომების გაყრა იყო.

ბატონი გივი იასეშვილი მეცნიერულად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი დიდგორის ომის (1121 წ.) პერიპეტიებს. თუმცა მუსლიმანური კოალიცია რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდა ქართულ ლაშქარს, დავით აღმაშენებელმა მაინც დაამარცხა იგი.

გ. იასეშვილი აკეთებს დასკვნას: დავით IV-ის სტრატეგიისთვის დამახასიათებელი იყო სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმა. იგი მიმოიხილავს ქართველი მხედართმთავრების გიორგი ბრწყინვალის, გიორგი სააკაძის, ერეკლე II-ის და სხვათა პრაქტიკასა და თეორიას და დაასკვნის, რომ მათი მხედართმთავრული ხელოვნება ჩანს მათ ტაქტიკაში – შეტევაში, მარშების ორგანიზებაში, ბრძოლებში ჯარის ნაწილებისთვის კონკრეტული ამოცანის დასახვაში, მათ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაში.

მკვლევარი გვისურათხატებს, რომ ნიჭიერი სარდლები და სამხედრო ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს გარეთ, ირანში მოღვაწე ქართლის მეფეები გიორგი XI და ქაიხოსრო, რუსეთის არმიის მხედართმთავრები: რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდოიხტმაისტერი (სარდალი) ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი და ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. მათი ღვაწლი ხელშესახები იყო ირანისა და რუსეთის სამხედრო ძლიერებაში.

ბატონი გივი იასეშვილი თვალს ადევნებს ქართული სამხედრო თეორიული აზროვნების განვითარებასაც. ფეოდალური საქართველოს სამეფო მისი ძლიერების ხანაში ოთხ სამხედრო ოლქად, ანუ სადროშოდ იყოფოდა, – ამბობს ბატონი გივი, – პირველ სადროშოს წარმოადგენდა სამხრეთ საქართველო მისი მიმდებარე თემებით, მეორე სადროშოს – ლიხთ-იმერეთი, მესამეს – კახეთი, მეოთხეს – ქართლი. სადროშოთა რაზმები, „სრულიად საქართველოს“ ლაშქრის სამხედრო წყობაში მკაცრად განსაზღვრულ ადგილებს იკავებდნენ. დრომ ბევრი ცვლილება შეიტანა სამხედრო ხელოვნებაში, მაგრამ ლაშქრის ოთხ ნაწილად დაყოფა და ბრძოლის ველზე ამ ნაწილების ჭადრაკულად განლაგება, ძირითადად უცვლელი დარჩა!

გივი იასეშვილის სამეცნიერო მიღწევები მის წიგნებშია დაუნჯებული. 2009 წელს გამოცემულმა წიგნმა **„საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“,** უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურა სამოქალაქო და სამხედრო სამეცნიერო წრეებში. იგი წარმოადგენს მცდელობას, მეცნიერთა ფართო წრის მონაწილეობით შექმნას ინფორმაციული ბრძოლის ხელოვნებაში საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის თავდაცვითი სისტემის სახელმძღვანელო.

მისი შემდეგი მეცნიერული ნაშრომი **„ეკონომიკა, კიბერომი და კიბერუსაფრთხოება“** ეძღვნება უაღრესად რთულ და დღეისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემას, კერძოდ, ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში კიბერომებისა და კიბერუსაფრთხოების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიტიკურ შესწავლა-განზოგადებას და კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

ნაშრომში განხილულია ზოგადად მსოფლიოს და, კერძოდ, საქართველოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო გამოწვევები, კიბერომებისა და კიბერუსაფრთხოების მეთოდოლოგიური და გამოყენებითი საკითხების ანალიზი და შეფასება, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. მისი ბოლო ნაშრომი **„ეკონომიკა, ჰიბრიდომი და ჰიბრიდუსაფრთხოება“** რეცენზენტთა აღიარებით მაქსიმალურად შეესაბამება მსოფლიოში განვითარებულ უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, შესრულებულია უმაღლეს თეორიულ დონეზე.

ბატონ გივი იასეშვილს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მის შრომებს მაღალ შეფასებებს აძლევენ აკადემიკოსები ლადო პაპავა, ლეო ჩიქავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაშა მესხია და სხვ.

წლეულს თებერვალში საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ პატივი მიაგო ბატონ გივი იასეშვილის დიდ სამეცნიერო დამსახურებას და იგი აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად აირჩია.

შრომაში, საქვეყნო ზრუნვაში გავიდა წლები. საქართველოს ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური მეცნიერების ამაგდარი მკვლევარი, შეიარაღებული ძალების ვეტერანი, გენერალ-ლეიტენანტი გივი იასეშვილი 77 წლისა გახდა.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ, მისი პრეზიდენტის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს **თეიმურაზ ბაბუნაშვილის** სახით, გულითადად მიულოცა აკადემიის ახლად არჩეულ წევრს ეს თარიღი. მილოცვაში, კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ თქვენ, დიდებულ პიროვნებას, ღირსეულ მოქალაქეს, აღიარებულ მეცნიერს, საქართველოს სამხედრო მეცნიერების, ეროვნული უშიშროების გეოსტრატეგიული და სამხედრო პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორს, საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებულ წევრს, გენერალ-ლეიტენანტს, ჩვენი აკადემიის აკადემიკოსს, დაბადებიდან 77 წლის ღირსშესანიშნავ თარიღს.

თქვენ, ბატონო გივი, ახალგაზრდობის წლებიდან ჩაერთეთ აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. შედეგმაც არ დააყოვნა და თქვენმა ნაშრომებმა, განსაკუთრებით სამხედრო, პოლიტიკურ და გეოსტრატეგიული კვლევების დამუშავებაში, მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა. თქვენმა მონოგრაფიამ „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი, უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურა სამხედრო-სამეცნიერო წრეებში. ასევე ფუნდამენტური ნაშრომები „გლობალიზაცია და კიბერნეტიკული ომის ხელოვნება“ და „ეკონომიკა, კიბერომი და კიბერუსაფრთხოება“ (ორ ნაწილად) მეცნიერულად არგუმენტირებული წინადადებებითა და რეკომენდაციებით, ძვირფასი შენაძენია მეცნიერებისათვის.

საქართველოსთვის ზრუნვაში გაწეული ღვაწლი სახელმწიფომ ღირსეულად დაგიფასათ: დაგაჯილდოვათ სამთავრობო ჯილდოებით, მოგანიჭათ გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება, რომლებიც ამშვენებენ თქვენს ბიოგრაფიას.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!“

ამინ!

გივი სიდამონიძე

კიდევ სამი დაკავებული ცხინვალის რეგიონში

„საზღვრის“ გადაკვეთის გამო დაკავებული საქართველოს 3 მოქალაქის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. უშიშროების კომიტეტი.

უწყების ცნობით, დაკავებულები არიან 1989 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები გიორგი ბაბუნაშვილი, გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში მცხოვრები 1989 წელს დაბადებულები რევაზ სრესელი და ლევან ბოლათაშვილი.

როგორც ე.წ უშიშროების კომიტეტის განცხადებაშია ნათქვამი, მიმდინარეობს მუშაობა, რათა სასაზღვრო სამსახურმა საქმის მასალები სასამართლოს გადაუგზავნოს.

შეგახსენებთ, ტყვეობაში გორის რაიონის სოფელ არცევის სამი მკვიდრია, რომლებიც რუსმა სამხედროებმა მავთულხლართებს მიღმა მოქცეული სასაფლაოდან წაიყვანეს. ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულთა გასათავისუფლებლად მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ოკუპირებული **აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს პასუხობენ. სერგეი ლავროვის ვიზიტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებზე ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ საქართველოს ოფიციალური პირების კომენტარები აბსოლუტურად უადგილოა.**

„ქართულმა მხარემ უნდა შეწყვიტოს საკუთარი თავის და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუება და შეეშვას ისეთი მოძველებული ცნების, როგორიც არის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“ და აღიაროს რეგიონში არსებული პოლიტიკური რეალობა“- ნათქვამია ე.წ. სამინისტროს განცხადებაში.

მალე კიდევ ერთი ახალი საწარმო გაიხსნება

საქართველოს **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში უკვე 244 საწარმოა მხარდაჭერილი, რომელთა რიცხვს კიდევ ერთი ბენეფიციარი კომპანია, შპს „ეკო რესურს ნატტექი“ შეემატება.**

კომპანია, რომელიც 2016 წლის აპრილის თვეში დაარსდა, საკვები საღებავებისა და ფუნქციონალური დანამატების იმპორტს, ასევე დისტრიბუციას ახორციელებს, თუმცა პროგრამის მხარდაჭერით კომპანია იმპორტირებული პროდუქტის ადგილობრივი ნაწარმით ჩანაცვლებას გეგმავს, რაც 20-25%-ით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

Ecoresource Nattech

აღსანიშნავია, რომ შპს „ეკო რესურს ნატტექი“, როგორც ადგილობრივი ბაზრის ათვისებას, ასევე, პროდუქციის აზერბაიჯანსა და სომხეთში ექსპორტზე გატანასაც აპირებს. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს ამოქმედების პირველ ეტაპზე კომპანია დამატებით 10 ადამიანის დასაქმებას შეძლებს.

შპს „ეკო რესურს ნატტექი“, რომელიც 2017 წლის აგვისტოს თვეში გაიხსნება, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 816 331 ლარს შეადგენს.

თურქეთის პრეზიდენტის გაძლიერება და საქართველოს ინტერესები

საერთაშორისო **თანამეგობრობა შიშობს, რომ 16 აპრილის რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, თურქეთის პრეზიდენტის ხელში განუზომლად დიდი, დაუბალანსებელი ძალაუფლების თავმოყრა გახდება შესაძლებელი და ამან, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.**

ხმების დათვლის შედეგად გაირკვა, რომ რეფერენდუმის მონაწილეთა 51%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი თურქეთის გადაქცევას საპრეზიდენტო რესპუბლიკად, რომლის პრეზიდენტიც აღჭურვილი იქნება ძლიერი ბერკეტებით. როგორ აღიქმება მეზობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები საქართველოს თვალით და რა პროცესებია მოსალოდნელი იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი კიდევ უფრო დაშორდება დემოკრატიულ ფასეულობებს?

თურქეთის პრეზიდენტს რეჯეპ ტაიპ ერდოღანს, შესაძლებლობა ექნება 2029 წლამდე შეინარჩუნოს პრეზიდენტის პოსტი, ერთპიროვნულად დანიშნოს მინისტრები, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, გამოსცეს კანონის ძალის მქონე განკარგულებები, შეარჩიოს მოსამართლეები თუ დაშალოს პარლამენტი. თურქეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნისა და პრეზიდენტის ისედაც ფართო უფლებების კიდევ უფრო გაფართოების ბერკეტები ასახულია 18 პუნქტისგან შემდგარ საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტში, რომლის მიმართ დამოკიდებულებაც თურქეთის მოქალაქეებმა 16 აპრილს რეფერენდუმზე გამოხატეს.

მაშინ როცა ძალაუფლების გაფართოებასა და განმტკიცებას ერდოღანის მომხრეები სწრაფი და ეფექტიანი რეფორმების განხორციელების ერთადერთ გამოსავლად მიიჩნევენ, მოწინააღმდეგეები და საერთაშორისო თანამეგობრობა დემოკრატიის შესაძლო ხელყოფასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე აკეთებენ აქცენტს. კვირა საღამოს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი, ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური ლიდერი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ფედერიკა მოგერინი და ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში იოჰანეს ჰანი. იგრძნობა, რომ ანკარისკენ მიპყრობილია ბრიუსელის საგანგებო ყურადღება:

„საკონსტიტუციო ცვლილებები და, განსაკუთრებით, პრაქტიკაში მათი განხორციელება შეფასდება თურქეთის იმ ვალდებულებათა ჭრილში, რომლებიც მას აქვს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანასა და ევროსაბჭოს წევრ ქვეყანას. მოვუწოდებთ თურქეთს, გაითვალისწინოს ევროსაბჭოს შეშფოთება და რეკომენდაციები, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით“.

ევროკომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ რეფერენდუმის შედეგებში მცირე სხვაობისა და საკონსტიტუციო ცვლილებების შორს მიმავალი მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, თურქეთის ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს, რაც შეიძლება უფრო ფართო ეროვნულ კონსენსუსს ამ ცვლილებების განხორციელების პროცესში.

ანალიტიკოსებისთვის ნათელია, რომ ევროკავშირის იმედების გაცრუება უკვე დიდი ხანია, დაიწყო თურქეთის ლიდერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა და, კერძოდ, მას შემდეგ, რაც 2016 წლის 15 ივლისის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების კვალდაკვალ ქვეყანაში უმკაცრესი რეპრესიული ზომების გატარება დაიწყო და დააპატიმრეს სხვადასხვა პროფესიის 10 ათასზე მეტი ადამიანი. ბოლო პერიოდში ძალიან მკაცრი იყო ბრიუსელის მისამართით თავად რეჯეპ ტაიპ ერდოღანის რიტორიკაც, რეფერენდუმის წინა პერიოდში მან არაერთხელ გაიმეორა, რომ თურქეთი თავად იტყვის უარს ევროკავშირის წევრობაზე და რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა, რეფერენდუმიც ჩატარდეს. ანკარის მხრიდან ლაპარაკი იყო ასევე სიკვდილით დასჯის აკრძალვის გაუქმებაზე, რასაც ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მხრიდან.

ანალიტიკოსების ნაწილი ვარაუდობს, რომ 16 აპრილის რეფერენდუმის შედეგების პრაქტიკაში დანერგვისა და პრეზიდენტ ერდოღანის ძალაუფლების დაუბალანსებლად გაძლიერების შემდეგ, თურქეთი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაშორდება დემოკრატიულ მმართველობას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, კიდევ უფრო გააუარესოს ანკარის ურთიერთობა დასავლეთთან. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები საქართველომაც იწვნიოს.

თუკი თურქეთმა მუსტაფა ქემალ ათათურქის გზიდან გადაუხვია და საბოლოოდ შეაქცია ზურგი დემოკრატიასა და დასავლურ ფასეულობებს, ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** აზრით, შესაძლოა, იმპერიალისტურმა ამბიციებმაც იმძლავროს და მაშინ საქართველოს ახალი თავსატეხი გაუჩნდება თავის ტერიტორიაზე ანკარის რბილ ძალასთან გამკლავების კუთხით. თუმცა, როგორც ზაალ ანჯაფარიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას აღნიშნავს, შეუძლებელია ბოლომდე გაფუჭდეს ურთიერთობა თურქეთსა და დასავლეთს შორის, რადგანაც ნატოს წევრი თურქეთი ძვირფასი პარტნიორია როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის. ამასთან, ურთიერთობის გაწყვეტა არც თურქეთს აძლევს ხელს:

„ჩემი აზრით, ევროპასთან ურთიერთობებში წითელი ხაზების გადაკვეთა არ შედის ერდოღანის ინტერესებში, ისევე როგორც არც ევროპის ინტერესებში შედის თურქეთის ერთგვარი განკვეთა და მისთვის ხელის კვრა. არც იმ პროგნოზებს ვიზიარებ, რომ სერიოზულად გადაიხედება ნატოსა და თურქეთის ურთიერთობები... უბრალოდ, თურქეთი მოითხოვს უფრო მეტი პატივი სცენ მას, როგორც ახალ რეგიონულ ლიდერს. ხოლო რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობას, პირადად მე რაიმე ისეთ, დრამატულ ცვლილებებს არ მოველი“.

ამ ეტაპზე თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობაში ცვლილებებს არც საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი **გიორგი რუხაძე** მოელის. როგორც მან აღნიშნა 17 აპრილს, რადიო „თავისუფლების“ პროგრამა „დილის საუბრებში“ სტუმრობისას, ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ყველანაირად შეეცდებიან შეინარჩუნონ კარგი პარტნიორული ურთიერთობა თურქეთთან, ასე მოიქცევა თურქეთიც და კარგი ურთიერთობის შენარჩუნებაზე საქართველომაც უნდა იზრუნოს:

„როგორიც არ უნდა იყოს, თურქეთი არის ნატოს წევრი ქვეყანა, ხოლო საქართველო არის ნატოს ასპირანტი ქვეყანა და მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ თურქეთი, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, არის იმ ბლოკის წევრი, რომლისკენაც მიისწრაფვის საქართველო... რეგიონში არ არსებობს სხვა ქვეყანა, რომელიც ამ ბლოკის წევრია და არიან რიგი ქვეყნები, რომლებიც, პირიქით, საქართველოს მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკის წევრები არიან... აქედან გამომდინარე, არანაირად არ უნდა აისახოს ის ყველაფერი, რაც ახლა ხდება თურქეთში, ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე, საქართველოს ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე“.

გიორგი რუხაძის თქმით, **ყველაზე უფრო „მსხვილი საშიშროება“, რამაც, შესაძლოა, სერიოზულად დააზარალოს თურქეთისა და ევროპული ქვეყნების ურთიერთობები, სიკვდილით დასჯის აკრძალვის გაუქმებას უკავშირდება.** ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ თუკი თურქეთმა კვლავაც დაიბრუნა სიკვდილით დასჯა, ამას არ აპატიებენ ევროკავშირი და ევროსაბჭო და, შესაბამისად, ანკარა იზოლაციაში აღმოჩნდება. თუმცა გიორგი რუხაძე მოვლენათა ამგვარად განვითარებას ნაკლებად მოელის და ფიქრობს, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, როცა რეჯეპ ტაიპ ერდოღანი მიხვდება, რომ მის მიზნებს საფრთხე აღარ ემუქრება ქვეყნის შიგნით, ის შეეცდება შეარბილოს თავისი რიტორიკა ევროკავშირთან მიმართებით. ეს იქნება პრაგმატული სვლა, რადგანაც მისთვის შეუძლებელი იქნება თურქეთის კეთილდღეობაზე ზრუნვა ევროკავშირის დახმარების გარეშე.

რაც შეეხება რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობას, ზაალ ანჯაფარიძის აზრით, ეს დიდწილად დასავლეთთან თურქეთის ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული და **თუკი ანკარა არ გაწყვეტს ურთიერთობას ბრიუსელთან, შეუძლებელია, ვილაპარაკოთ რაიმე სახის გარდამტეხ კავშირზე მოსკოვსა და ანკარას შორის.** ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ის, რაც მსოფლიომ ბოლო პერიოდში იხილა, იყო „ხანმოკლე ფლირტი“ დასავლეთზე განაწყენებულ თურქეთსა და რუსეთს შორის, რომლის სიმყიფეც კარგად გამოაჩინა ბოლო ხანებში სირიის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა.

ლელა კუნჭულია

ლე პენი ამომრჩეველს ქვეყანაში უცხოეთიდან იმიგრაციის სრულ შეჩერებას ჰპირდება

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ულტრამემარჯვენე მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ გამარჯვების შემდეგ სრულიად შეამცირებს ქვეყანაში უცხოელ მიგრანტთა შემოსვლას. მან განაცხადა, რომ ეს შეჩერება იმ დრომდე იმოქმედებს, სანამ არ შეიქმნება უფრო დახვეწილი კანონმდებლობა, რომელიც ლეგალურ მიგრაციას დაარეგულირებს.

„მე გამოვაცხადებ ლეგალურ მიგრაციაზე სრულ მორატორიუმს, რათა შევაჩერო ეს ქაოტური, არანორმალური, უკონტროლო სიტუაცია, რომელიც ქვეყანას უკან მიაქანებს. ამის შემდეგ ვგეგმავ შემოვიღო უფრო მკაცრი, რეალობასთან ახლო მდგომი და ჰუმანური რეგულაციები ლეგალური იმიგრაციის შესახებ“, — განაცხადა მან ამომრჩეველთან შეხვედრაზე.

საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში 2017 წლის 23 აპრილს გაიმართება. გამოკითხვების შედეგად ლიდერობს დამოუკიდებელი კანდიდატი ემანუილ მაკრონი — 24%, მეორე ადგილზეა ლე პენი — 23%, მესამეზე — ფრანსუა ფიიონი -19%.

ტერეზა მეიმ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ განაცხადა

„ბიბისი“ ინფორმაციით, ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს სჭირდება სტაბილურობა და ძლიერი ხელმძღვანელობა ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ.

მისივე თქმით, ის ხვალ შუამდგომლობით მიმართავს თემთა პალატას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების 8 ივნისს ჩატარების თაობაზე.

„ერთადერთი საშუალება, უზრუნველვყოთ გარკვეულობა და სტაბილურობა ვადამდელი არჩევნების ჩატარებაში მდგომარეობს“, — აღნიშნა ტერეზა მეიმ.

ტრამპებმა „საღამოს კვერცხების გაგორების“ ტრადიცია თეთრ სახლში პირველად შეასრულეს

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „საღამოს კვერცხების გაგორების“ ტრადიცია თეთრ სახლში პირველად შეასრულა. ყოველწლიური საღამოს ღონისძიება დონალდ და მელანია ტრამპებმა შვილთან ბარონთან თეთრი სახლის მდელოზე შეკრებილ ბავშვებთან და მათ მშობლებთან ერთად ჩაატარეს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ამირან აბესაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან აბესაძე (პ/ნ 60001130066), ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-9 შესახვევი №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქუთაისი, მაიაკოვსკის სახელობის ხეივანი, შესახვევი 9, №9 (საკადასტრო კოდი: 03.06.27.200).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10586.55 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 18 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 1 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP42839717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 428397

6. **მოვალე:** გიორგი მუკბანიანი (პ/ნ 53001055876), წყალტუბო, სოფელი მაღლაკი, მე-13 ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42839717; ლოტის ნომერი: 428397).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 28 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნანა ბერიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ბერიძე (პ/ნ 42001027369), ქ. ფოთი, გურიის ქ. 187, ბინა №7;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ფოთი, გურიის ქ. 187, სართული 2, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.459.01.007).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14387.3 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 1 მაისი, 17:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** ნანა ბერიძე (პ/ნ 42001027369), ქ. ფოთი, გურიის ქ. 187, ბინა №7;
ნანა ღვინჯილია (პ/ნ 51001007339), წალენჯიხა, შ. რუსთაველის ქ. №36.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 1 მაისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

აპოკალიფსი მეცნიერულად,

ანუ რამდენი ნაბიჯი დაგვრჩა საყოველთაო კატასტროფამდე

შვეიცარიის მაღალმთიან დაბა დავოსის ტრადიციული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისთვის მრავალი ქვეყნის პირველ პირებთან და წამყვან ეკონომისტებთან,ასევე ცნობილ ბიზნესმენებთან ერთად, სხვადასხვა სფეროს რამდენიმე ასეული ავტორიტეტული ექსპერტიც საგანგებოდ ემზადებოდა. მათი მიზანი ფორუმზე ათწლეულის გამოწვევების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა იყო, რის შედეგად მთავარ რისკად... თავად ადამიანი აღიარეს.

მეცნიერთა პროგნოზით, ცივილიზაცია ტექნოლოგიური ნახტომის ზღურბლზეა, რომელსაც საყოველთაო კატასტროფის გამოწვევა შეუძლია. ამჟამად პროგრესი იმდენად სწრაფი გახდა, რომ ჩვენ, უბრალოდ, სიახლეების ათვისებას ვერ ვასწრებთ. 2020-დან 2040 წლების პერიოდში კი ისეთი ტექნოლოგიები იქნება შექმნილი, რომლებზე კონტროლი კაცობრიობას სულაც შეიძლება ხელიდან დაუსხლტეს.

ექსპერტებმა „ქვეყნიერების დასასრულს“ რამდენიმე სავსებით რეალური სცენარი გაასაჯაროეს.

თუმცა, იგივე ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ თუკი კაცობრიობა თავიდან აიცილებს „ქვეყნიერების ტექნოგენურ დასასრულს“, მაშინ 21-ე საუკუნის შუა ხანებისთვის იგი ევოლუციის ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გავა. პროგრესი და ტექნოლოგიები ადამიანებს მეტ თავისუფლებას, მეტ იაფ საქონელსა და მომსახურებას მისცემენ. თავად ადამიანიც სხვანაირი გახდება, მაგრამ მაინც როგორი?



რობოტების აგრესია

21-ე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ რისკად, დავოსის ფორუმის მოხსენებაში რობოტექნიკის განვითარებაა დასახელებული, რომელიც ეკონომისტებში ენით აუწერელ პანიკას იწვევს – მის გამო ადამიანები მასობრივად დაიწყებენ სამუშაოს დაკარგვას. **არსებობს პროგნოზი, რომლის თანახმადაც თითქმის ყოველ მეორე სპეციალობას ავტომატიზაცია ემუქრება (!)**. ცოტა ხნის წინათ ერთმა დიდმა ბანკმა განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვის შედეგად სამი ათასზე მეტი სამუშაო ადგილის გამოთავისუფლებას შეძლებს (!!). ტექნოლოგიას, რომელიც კაცობრიობას თითქმის საყოველთაო უმუშევრობით ემუქრება, **სამანქანო სწავლება** ეწოდება. დაგროვილ მონაცემთა გაანალიზების შედეგად, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს თვითსწავლა და ადამიანის გონების მიბაძვა შეუძლია. გარდა ამისა, რობოტები ადამიანებზე გამძლენიც არიან, მათზე უფრო სწრაფად და ზუსტად მოქმედებენ, არ უშვებენ წუნს. ისინი არა მარტო კონვეიერთან სამუშაოდ დასადგომად, არამედ „მასწავლებლებისთვის“ სამუშაოს წასართმევადაც არიან მზად, რის შედეგად ქუჩაში გამოყრილი მილიონობით დასაქმებული აღმოჩნდება. თუმცა კი არც ესაა ყველაზე დიდი საშინელება...

– იმის გამო, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს თვითსწავლა უსაზღვროდ შეუძლიათ, ხოლო მათ სიმძლავრეს ზვავისებურად გაზრდის უნარი აქვს, ისინი სამყაროზე ზემოქმედების გამწევი საკუთარი მექანიზმების შექმნასაც შეძლებენ, – აცხადებენ გლობალური რისკების შემსწავლელი ფუტუროლოგები.

მათთვის არანაირი სირთულე არ იქნება ნებისმიერ კომპიუტერულ ქსელებზე, მათ შორის, სახელმწიფო მართვის სისტემებსა და ინტერნეტზე კონტროლის დაყენება. **გამორიცხული არ არის, რომ სწრაფი განვითარების პროცესში მათ კაცობრიობის როგორც მუქარის აღქმა დაიწყონ – ადამიანი, უბრალოდ, არ აღმოჩნდება მათ ფასეულობათა სისტემაში.**

სავალალო შედეგი ყოველივე ამისა კი ის იქნება, რომ ისინი მის თავიდან მოცილებას ეცდებიან, ვთქვათ... მართვადი რობოტების მეშვეობით.

ამიტომაც, ექსპერტები აცხადებენ, რომ მეცნიერთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ადამიანებისადმი არამეგობრულად განწყობილი ხელოვნური ზეინტელექტის თვით გაჩენის ალბათობის მოსპობა.

სათბურის კატასტროფა

კლიმატზე დაკვირვების მთელი ისტორიის მანძილზე, 2016 წელი ყველაზე თბილი იყო: დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა თითქმის ერთი გრადუსით აღემატებოდა გასული საუკუნის შუა ხანების საშუალო ტემპერატურას!

მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გლობალური დათბობის მიზეზი (მე-20 საუკუნის მანძილზე ატმოსფეროს ქვედა ფენების ტემპერატურამ ცელსიუსის 0,8 გრადუსით მოიმატა, რაც ბუნებრივი პროცესებისთვის ძალიან დიდი სისწრაფეა), ადამიანის მოღვაწეობაა. ტექნიკური პროგრესი დიდი ოდენობით საწვავის მოხმარებას უკავშირდება, რასაც ატმოსფეროში სათბურის გაზების შემცველობას ზრდის (მათ შორისაა წყლის ორთქლი, ნახშირჟანგი და მეთანი) და სწორედ ისინი იწვევენ ტემპერატურის მატებას. იმის მიუხედავად, რომ ამჟამად საფრთხე მაინცდამაინც დიდი არ ჩანს, დათბობის ტემპები წლიდან წლამდე მატულობს, კლიმატური ანომალიები კი მოსახლეობის მიგრაციასა და სოციალურ მღელვარებას პროვოცირებენ – დედამიწის ზოგიერთ რეგიონში ადამიანები თანდათან საკვებისა და წყლის გარეშე რჩებიან.

ამდენად, ექსპერტები აცხადებენ, რომ მომავალ თაობათა ბედზე დაფიქრება ამთავითვეა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიმატურ ცვლილებათა გამო, მრავალი ბიოლოგიური სახეობა (მათ შორის, ადამიანიც!) 200-300 წლის შემდეგ შესაძლოა საერთოდ გაქრეს (!!).

მაგალითისთვის შეიძლება, მომავლის მოდელირების ვერსიის მოყვანა: თუკი უახლოეს ორ-სამ საუკუნეში სათბურის გაზების ატმოსფეროში გაფრქვევის დონე შენარჩუნდება, დედამიწაზე ტემპერატურა ასობით გრადუსით გაიზრდება.

დათბობას კი ზღვის ეფექტი მოჰყვება: ნახშირჟანგი და მეთანი ბუნებრივი „საცავებიდან“ (ოკეანეებიდან, დედამიწის ქერქიდან, მუდმივი გამყინვარების ზონიდან და ა.შ.) გამოთავისუფლებას დაიწყებენ, რაც, თავის მხრივ, დათბობის პროცესს გააძლიერებს, რის შედეგად პროცესი შეუქცევადი გახდება. გამოთვლები აჩვენებს, რომ ორიოდე საუკუნეში დედამიწის კლიმატურ სისტემას სხვა მდგრად მდგომარეობაში გადასვლა შეუძლია. ამის შედეგად ტემპერატურა „ვენერიანული“ გახდება ცელსიუსის 500 გრადუსი და დედამიწაზე სიცოცხლე გაქრება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ღირსება შევინარჩუნეთ!

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ (18-წლამდელებმა) რაგბი ევროპის ღია ჩემპიონატის ფინალში მასპინძელ საფრანგეთს 2 ლელო დაუდეს, 2 ჯარიმა და ერთი გარდასახვა გაუტანეს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — 18:36.

სხვათა შორის, ერთ ეპიზოდში მეტოქე 30 ქულით დაწინაურდა — 36:6, მაგრამ ფსიქოლოგიურად ვერ გაგვტეხა.

ეს იყო ზედიზედ მესამე ფინალი ევროპაში, რომელშიც ერთმანეთს ფრანგი და ქართველი 18-წლამდელები შეხვდნენ. 2015 წელს გადამწყვეტ მატჩში ირლანდიისა და იტალიის ნაკრებების გავლით მოვხვდით და 0:57

დავთმეთ; შარშან ევროპის ჩემპიონატის ელიტდივიზიონში თამაშზე უარი ინგლისმა, ირლანდიამ, უელსმა, შოტლანდიამ და იტალიამ თქვეს, ფინალში მარტივად გავედით და ფრანგებმა 42:0 იმარჯვეს.

წელს განდგომილების ნაცვლად ტურნირს კანადა, აშშ და იაპონია დაემატნენ. საფრანგეთში, ბრეტანში გამართულ რაგბი ევროპის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კანადა 43:3, ხოლო ნახევარფინალში იაპონია 42:17 დაამარცხეს და ფინალში მასპინძელ საფრანგეთს ზედიზედ მესამედ შეხვდნენ.

ქართველმა 18-წლამდელებმა ნავსი გატეხეს და წელს მოედანი უქულოდ აღარ დავტოვეთ, ფრანგებს ფინალში პირველად დავუდეთ ლელო (თანაც ორი) და მეტოქესთან შარშანდელთა 6 შედარებით 18 ქულამდე შევამცირეთ ჩამორჩენა.

დავით ჩავლეიშვილის შეგირდებმა მაღალი დონის მეტოქეს ბოლო წუთამდე ბრძოლა შესთავაზეს და რიგ ეპიზოდებში სათამაშო უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ იყო შეცდომები, რომლითაც გამოცდილმა გუნდმა კარგად ისარგებლა. ფრანგი მორაგბეები გამოირჩეოდნენ სიმაღლით და აღნაგობით, რამაც დერეფანში პრობლემები შეგვიქმნა. მასპინძლებმა კარგად ითამაშეს დაცვაში და რამდენჯერმე შეძლეს ქართველთა იერიშების მოგერიება, შეტევებში კი ჩვენი შცდომების და საკუთარი სისწრაფის ხარჯზე 5 ლელო დაგვიდეს.

კობა კობახიძე

◎ ფორუმის წინ

კონტურები კი ასეთია

როგორც მოგეხსენებათ, 2-15 ივლისს საქართველოში ევროპის 19 წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. ასეთი მაღალი რანგის ტურნირს დამოუკიდებლობააღდგენილი ჩვენი ქვეყანა პირველად უმასპინძლებს (თბილისი, გორი).

მომავალი ფორუმის საპატიო ელჩია უბენრებელი ზურაბ ხიზანიშვილი, რომელსაც თანამემამულეთათვის იღბლიანი ხელი აღმოაჩნდა — დედაქალაქის სასტუმრო „ჰუალინგში“ მოწყობილ წილისყრაზე მან „ჯვაროსნებს“ მეტოქეებად „ა“ ჯგუფში ჩეხეთი, შვედეთი და პორტუგალია „გამოუწერა“.

გიორგი ყიფიანის გაწვრთნილი გუნდის შეხვედრების კალენდარი ასეთია:

2 ივლისი (გახსნის მატჩი). საქართველო — პორტუგალია

5 ივლისი. საქართველო — შვედეთი

8 ივლისი. საქართველო — ჩეხეთი.

დაგვეთანხმებით, გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება მეორე კვარტეტი — გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია და ბულგარეთი, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დასკვნით ეტაპზე სუსტი ნაკრები არ არსებობს. „ბ“ ჯგუფის ბრძოლები 3, 6 და 9 ივლისსაა დანიშნული, ნახევარფინალები - 12 ივლისს, ხოლო ფინალი - 15 ივლისს.

სხვათა შორის, დასკვნითი რაუნდის მიღმა დარჩნენ ისეთი გრანდები, როგორიცაა კონტინენტის შვიდგზის ჩემპიონი ესპანეთი, ჯერაც მოქმედი გვირგვინოსანი საფრანგეთი და მუდმივი ფავორიტი იტალია.

გიორგი შოთაძე

◎ ყინულის ჰოკეი

მედალს კი, მაგრამ საგზურს ვერ შესწვდნენ

სოფიაში გამართულ ყინულის ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის III დივიზიონის პირველობაში შვიდი გუნდი მონაწილეობდა (ბოსნია-ჰერცეგოვინა ბულგარეთის დედაქალაქში არ ჩავიდა).

ასპარეზობის პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა (კახა ამბროლავა, გურამ არჩვაძე, მიხეილ დავითაშვილი, ვიტალი დუმბაძე, გრიგორი ფილიმონოვი, ამირან გეფერიძე, ზაზა ღონღაძე, ანდრეი ილიენკო, გიორგი ჯეირანაშვილი, ნიკოლოზ კასრაძე, პაატა კავკასიძე, არტიომ კოზიულინი, არტიომ კურბატოვი, დავით მინასიანი, დავით ოგანეზიანი, გია ოგანეზიანი, მიხაილ შალუნოვი, დმიტრი შამინი, ივან შვეცოვი, დიმიტრი სმეტანინი, გიორგი ცაგარეიშვილი, რევაზ ცომაია, თემურ ვედიაპინი, მთავარი მწვრთნელი გოჩა ჯეირანაშვილი, მწვრთნელი ბორის კოშკინი) სამხრეთ აფრიკას აჯობა 6:5, მაგრამ მეორე მატჩი ჩვენებმა ლუქსემბურგელებთან დათმეს — 4:6. ნახევარფინალში გასასვლელად და მედლებისთვის ბრძოლის შანსის შესანარჩუნებლად ჩვენებმა მესამე ტურში არაბთა გაერთიანებული სამიროების გუნდი დიდი ანგარიშით — 19:0 (9:0, 2:0, 8:0) დაამარცხეს და B ჯგუფში ლუქსემბურგელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს. პირველი იყო ლუქსემბურგი.

მე-2 დივიზიონის ერთადერთი საგზურისთვის ოთხმა გუნდმა განაგრძო პაექრობა: ნახევარფინალში ჩვენებმა მასპინძლებთან 3:9 (0:4, 1:2, 2:3) წააგეს, ხოლო ლუქსემბურგმა ჰონკონგი დაჯაბნა — 8:1 (3:0, 2:1, 3:0). ოქროს მედლები და მეორე დივიზიონის საგზური ლუქსემბურგელებმა დაიმსახურეს, რომლებმაც გადამწყვეტ ბრძოლაში ბულგარელებს მოუგეს — 10:4 (3:3, 4:1, 3:0). მასპინძლებს ვერცხლის მედლები ერგოთ. მესამე ადგილზე საქართველოს ნაკრები გავიდა, რომელმაც „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში ჰონკონგს დიდი ანგარიშით აჯობა — 14:3 (6:1, 3:1, 5:1). მეხუთე ადგილზე გავიდა სამხრეთ აფრიკა — ტაივანს მოუგო - 7:3 (3:2, 3:0, 1:1). მე-7 ადგილი საამიროებს ხვდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

„კლასიკოსთა“ უხვი ნადავლი



ბაქოში დამთავრდა აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის გათამაშება. „კლასიკოს“ ჭაბუკთა შორის შეჯიბრებაში 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა ხვიჩა ქორიძის ხელმძღვანელობით 11 ჯილდო - 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 58 და 76 კილოგრამ წონით კატეგორიებში ქართული ფინალები გაიმართა. ტურნირზე პირველი ადგილები გიორგი შოთაძემ (58) და გიორგი ცოფურაშვილმა (76) დაიკავეს, ვერცხლის მედლები აკაკი ოსიაშვილს (54), გიორგი პატარაიას (58), ოთარ აბულაძესა (63) და ლუკა ზაქარიაძეს (76) ერგოთ, ხოლო დიმიტრი ხაჩიძე (42), გიორგი ჩხიკვაძე (54), ხვიჩა ანანიძე (58), ომარ სირაძე (69) და დავით სოლოღაშვილი (69) მესამე ადგილებზე გავიდნენ. ჩვენმა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში აზერბაიჯანისა და ირანის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

აზერბაიჯანის დედაქალაქში ჭაბუკების შემდეგ ხალიჩა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს დაეთმოთ. ქართველები რვავე წონით კატეგორიაში მოხვდნენ საპრიზო ადგილებზე — სოსო ჯაბიძის გაწვრთნილმა გუნდმა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა და აქაც საერთო გუნდურ ჩათვლაში 11 ქვეყნის „კლასიკოსებს“ შორის მესამე ადგილი დაიკავა. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნუგზარ წურწუმია ავიდა. მსგავს წარმატებამდე თითო მოგება დააკლდათ რამაზ სილაგავას (50) და თემურ ჭკუასელიძეს (84), რომლებიც ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ, შოთა ღლონტს (50), გიორგი გუჯაბიძეს (66), ბექა მამუკაშვილს (74), გურამ ხეცურიანსა (84 კგ) და ბექა მაკარიძეს (120) კი „ბრინჯაო“ ხვდათ.

თამაზ პატარიძე

◎ ჭადრაკი

სათავეში - კვარტეტი

რიგაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში შვიდი ტური მიილია. შეჯიბრებაში რვა ქართველი მონაწილეობს. მათგან 5.5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია ნანა ძაგნიძე, რომელიც სამ უშუალო კონკურენტს (ალექსანდრა გორიაჩკინა, ელინა დანიელიანი და დარია პუსტოვოიტოვა) უკეთესი კოეფიციენტით უსწრებს. 15 მოჭადრაკეს, მათ შორის — ხოტენაშვილსა და ბაციაშვილს, 5-5 ქულა აქვს, ჯავახიშვილმა, არაბიძემ — 4.5-4.5, მელიამ — 4, ხომერიკმა და გვეტაძემ 3.5-3.5 ქულა მოაგროვეს.

მოასპარეზენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს მე-8 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ძაგნიძე — დანიელიანი, პუსტოვოიტოვა — გორიაჩკინა, ბაციაშვილი — ხოტენაშვილი, ულვია ფატალიევა (აზერბაიჯანი)-ჯავახიშვილი, ალისა გალიამოვა (რუსეთი) — არაბიძე, მელია — ელენა კოსმა (რუმინეთი), მარია კომიაგინა (რუსეთი) — ხომერიკი, ელენა სემიონოვა (რუსეთი) — გვეტაძე.

ჩემპიონატზე სულ 11 ტური გათამაშდება.

გივი გაგუა

◎ კრივი

პირველად — დავით კვაჭაძის სახელობისა

7 ძვირფასი 60-მდე წარმომადგენელი გამოდიოდა კრივში ევროპის ჩემპიონისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებულის დავით კვაჭაძის სახელობის პირველ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. საქართველოს სპორტსმენებმა ტურნირის ხუთი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

49 კილოს ფინალში ნოდარ დარბაიძემ სომეხი გასპარ ბაბახანიანი დაამარცხა, 52 კილოში სომეხმა ვაჩე ბადალიანმა ბაჩო ჯინჭარაძე დაჯაბნა. 56 კილოში სევერიან ჭილაძეს გადამწყვეტ პაექრობაში ტრავმის გამო აზერბაიჯანელი უმუდ რუსტამოვი არ გამოუცხადდა და ოქროს მედალი უბრძოლველად ერგო. 60 კილოში კონტინენტზე წონის ახალქალაქელმა ლიდერმა ოთარ ერანოსიანმა გაიმარჯვა. ფინალში მან გაბილ მამედოვს (რუსეთი) აჯობა. 64 კილოში სომეხმა ოგანეს ბაჩკოვმა გიორგი დოლიაშვილს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლერს საფეხურზე ავიდა.

69 კილოში სერგეი მარგარიანმა (რუსეთი) ფინალური ორთაბრძოლა გიორგი ხარაბაძეს მოუგო. 75 კილოში პირველი იყო სომეხი არმენ დარჩინიანი, რომელმაც გიორგი გიორგაძე დაჯაბნა. 81 კილოში იაგო კიზირიამ ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან, მათ შორის ფინალში რაჯაბ რაჯაბოვი (რუსეთი) და ოქროს მედალი მოიპოვა. იაგო კიზირია ტურნირის საუკეთესო მოკრივედაც დასახელეს. 91 კილოში პირველი იყო სომეხი ჰენრიკ სარქისიანის მძლეველი ალექსანდრე დოკვაძე. მძიმე წონის ფინალში ივან ვერსალოვმა (რუსეთი) ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ მიხეილ ბახტიძეს აჯობა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

ლაშა დიდია

თავშესაფრის მაძიებლები ისრაელის მთავრობას ვერ მოატყუებენ,

ანუ რატომ მკაცრდება წესები საქართველოს მოქალაქეებისთვის?

17 აპრილიდან ისრაელში საქართველოს მოქალაქეებისთვის ახალი რეგულაცია ამოქმედდა. ის საქართველოს იმ მოქალაქეებს შეეხებათ, რომლებიც ისრაელში თავშესაფრის ძიებით არიან დაინტერესებული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ისრაელის შს სამინისტროს გადაწყვეტილებით, თავშესაფრის იმ მაძიებლებს, რომელთა საკითხიც თავშესაფრის მიღების თაობაზე უარყოფითად გადაწყდება, აღარ მიეცემათ საშუალება, შვიდი დღის განმავლობაში ნებაყოფლობით დატოვონ ქვეყანა და მათ მიმართ დაუყოვნებლივ დაიწყება იძულებით გაძევების პროცედურები.

გიორგი ხურციძე ისრაელის მოქალაქეა და წლებია, იქ ცხოვრობს. მას ხშირად უწევს შეხვედრა საქართველოს იმ მოქალაქეებთან, რომლებიც ისრაელში თავშესაფარს ეძიებენ. როგორც გიორგი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, სულ უფრო და უფრო მცირდება ისრაელის მხრიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის თავშესაფრის მიცემის ფაქტები. გიორგი ამბობს, რომ მისი ნაცნობებიდან ახლაც ბევრი ელოდება საკუთარ რიგს გასაუბრებაზე გასასვლელად, თუმცა დასძენს, რომ ახალი რეგულაციის გამო, რომელიც 17 აპრილიდან ამოქმედდა, ალბათ, ბევრი მათგანი უარს იტყვის გასაუბრებაზე გავიდეს:

„მეგობარი მყავს ერთი, რომელსაც პირველ მაისს უწევს მისვლა. ჯერჯერობით გამოდის, რომ არალეგალურად ცხოვრობს ისრაელში. სამართლე რომ გითხრა, თითქმის არავის აქვს იმედი, რომ მათი განაცხადი დაკმაყოფილდება. როგორც ვიცი, ბევრი მათგანი აღარც აპირებს მივიდეს გასაუბრებაზე, რადგან წინასწარ იციან, რომ უარი ექნებათ, ანუ ურჩევნიათ, რომ არც კი მივიდნენ და იყვნენ ასე არალეგალებად“.

17 აპრილიდან ისრაელში საქართველოს მოქალაქეებისთვის ახალი რეგულაცია ამოქმედდა. კერძოდ, ახალი რეგულაცია საქართველოს იმ მოქალაქეებს შეეხებათ, რომლებიც ისრაელში თავშესაფრის მოპოვებით არიან დაინტერესებული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ისრაელის შს მინისტრის გადაწყვეტილებით, თავშესაფრის იმ მაძიებლებს, რომელთა საკითხიც თავშესაფრის მიღების თაობაზე უარყოფითად გადაწყდება, აღარ მიეცემათ საშუალება, რომ ქვეყანა შვიდი დღის განმავლობაში ნებაყოფლობით დატოვონ. ახალი რეგულაციის მიხედვით, ასეთი მოქალაქეების მიმართ დაუყოვნებლივ დაიწყება დეპორტაციის პროცედურა. ამგვარი გადაწყვეტილებისა და რეგულაციების გამკაცრების ერთ-ერთი მიზეზი, გიორგი ხურციძის აზრით, შესაძლოა, იყოს ის გამოცდილება, რომელიც ისრაელს ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრებ ადამიანებთან მიმართებით აქვს:

„იმიტომ გამკაცრდა რეგულაციები, რომ უარის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეძლეოდათ შვიდი დღე, რომ დაეტოვებინათ ქვეყანა, მაგრამ, ფაქტიურად, არავინ, თითქმის 99%, არ ბრუნდებოდა სამშობლოში. რჩებოდნენ არალეგალებად. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა არალეგალურად მცხოვრებთა რაოდენობამ და არამხოლოდ საქართველოდან. საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩამოდის რუსეთიდან, უკრაინიდან. ყოველდღე, დილიდან საღამომდე, ყველა ქალაქში მიმდინარეობს ხოლმე ე.წ. რეიდები. ამოწმებენ ხალხს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის **გიორგი ტაბატაძის** ვარაუდით, საქართველოს მოქალაქეები თავშესაფრის მოთხოვნაზე ძირითადად უარყოფით პასუხს მიიღებენ. ამის მიზეზად ის ასახელებს ისრაელის სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, საქართველო „უსაფრთხო ქვეყნების“ სიაში შეეყვანა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, გასულ წელს ისრაელში თავშესაფარი მოითხოვა 3 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ, თუმცა აქედან არც ერთი განცხადება არ დაკმაყოფილდა. შეგახსენებთ, რომ ისრაელთან უვიზო მიმოსვლა 2013 წლიდან ამოქმედდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უკანასკნელ ხანებში ისრაელში შესვლაზე არაერთ ადამიანს უთხრეს უარი. გამკაცრებული კონტროლის ოფიციალურ მიზეზად ისრაელში არალეგალურად დარჩენის შემთხვევების რიცხვის ზრდა სახელდება.

ნინო თარხნიშვილი

ცხელი შოკოლადი სიბერის ჭკუასუსტობას ებრძვის

ნევროლოგიის ამერიკული აკადემიის სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს კვლევის შედეგები, სადაც დამტკიცებულია, რომ ცხელი შოკოლადი ეფექტურად ებრძვის სიბერის ჭკუასუსტობის ნაადრევ განვითარებას. კვლევების მონაწილე 60 ადამიანი გახდა,

რომელთა ასაკი, საშუალოდ, 73 წელს შეადგენდა და ისინი არ იტანჯებოდნენ დემენციით. ყველა მონაწილეს დღის განმავლობაში სთავაზობდნენ, მიეღოთ 2 ფინჯანი ცხელი შოკოლადი. ამასთანავე, მათ მიერ შოკოლადის მიღება იზღუდებოდა. შემდგომ მკვლევარებმა მონაწილეებს შესთავაზეს, ჩაეტარებინათ ტესტი, რათა შეეფასებინათ მეხსიერების მდგომარეობა და კოგნიტიური აზროვნება, ასევე ჩაატარეს ტვინში სისხლის მიმოქცევის ულტრაბგერითი გამოკვლევა.

„ისეთი სერიოზული დაავადების, როგორიცაა ალცჰეიმერი, განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს სწორედ სისხლის მიმოქცევა წარმოადგენს, რომელიც პასუხისმგებელია სისხლძარღვთა ნერვულ კავშირებზე“, — აღნიშნეს კვლევების ავტორებმა.

შედეგად, კვლევებში მონაწილე 60 ადამიანიდან 18-ს აღენიშნებოდა სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება. დანარჩენი მოხალისეების მონაცემები არ შეცვლილა. ამასთანავე, კვლევების ავტორები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ჩატარდეს მთელი რიგი დამატებითი კვლევები, რათა დაამტკიცონ კავშირი კაკაოს, ტვინში სისხლის მიმოქცევასა და კოგნიტიურ აშლილობას შორის.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, შოკოლადში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობით, ადამიანები, რომლებიც რეგულარულად იღებდნენ შოკოლადს, ერთი წლით მეტხანს ცხოვრობენ.

მარწყვი არაჩვეულებრივად ათეთრებს კბილებს

მეცნიერებმა კბილების გათეთრების მარტივ და ეფექტურ მეთოდს მიაგნეს... მარწყვის საშუალებით. კბილების გათეთრებას იწვევს ამ პროდუქტში არსებული მჟავა.

ბუნებრივია, მარწყვი ვერ შეცვლის სტომატოლოგიაში არსებულ პროფესიულ საშუალებებს, თუმცა საკმაოდ ეფექტურია კბილებთან მიმართებაში. საჭიროა მარწყვი დაიჭყლიტოს, დაემატოს Baking powder (ჩვეულებრივი, ცხობაში გამოყენებული სოდა) და კარგად აირიოს. ნარევი ჩვეულებრივი კბილის ჯაგრისით უნდა დაედოს კბილებს მინიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ ხდება მისი ჩამობანა და სპეციალური ძაფით კბილებს შორის შუალედის გასუფთავება მარწყვის თესლებისგან.

ამავე დროს, ექიმები გვირჩევენ, რომ თავი შევიკავოთ მარწყვის ძალიან ხშირად მოხმარებისგან, რამაც შეიძლება კბილების დაზიანება გამოიწვიოს.



რას გვეუბნება სისხლის ჯგუფი?

თითქმის ყველას უყვარს ხსნადი ყავა, შებოლილი ხორცის ნაწარმი, კეტჩუპი და სხვა. ეს ნუგბარი არასასურველია ნებისმიერი სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანისთვის. ზეითუნის ზეთს კი ამერიკელი დიეტოლოგი ადამო ყველას სთავაზობს. იაპონელი მეცნიერის პორშიტაკი ნომის თეორიით, სისხლის ჯგუფი ადამიანის ხასიათს განსაზღვრავს. ეს თეორია იმდენად პოპულარულია იაპონიაში, რომ ადამიანს სამსახურში სწორედ სისხლის ჯგუფის მიხედვით იღებენ. მაგალითად, მეორე ჯგუფის სისხლის მქონენი უფრო მშვიდნი და გაწონასწორებულნი არიან, მათ პასუხსაგებ საქმესაც ანდობენ, მესამე ჯგუფის სისხლის მქონენი ინდივიდუალისტები არიან. ზოგიერთი იაპონელი სისხლის ჯგუფის მიხედვით მეგობრებსაც კი ირჩევს. ამერიკელი ნატუროპათები გვირჩევენ, სპორტის სახეობაც სისხლის ჯგუფის მიხედვით შევარჩიოთ. მაგალითად, პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანს ურჩევენ, ივარჯიშონ ძალისმიერ სახეობაში, მეორე ჯგუფისას — იოგასა და ცურვაში, მესამე ჯგუფისას კი ტურისტული მოგზაურობა ეკრძალებათ. მეოთხე ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანისთვის რეკომენდებულია მედიტაცია. სისხლის ჯგუფის მიხედვით შეიძლება, დადგინდეს, რომელი დაავადებისადმი აქვს მიდრეკილება ადამიანს.

ესპანელებიც ჩვენთან კაიფობენ

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, ესპანეთის მოქალაქე, 1976 წელს დაბადებული ც.გ.ლ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულისგან 4 შეკვრად დაფასოებული, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 56 აბი და 7,19793 გრ კანაფის ფისის შემცველი ნარკოტიკი ამოიღეს.

შსს-ში აცხადებენ, რომ გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს.

ყალბ ფულს რომ ვერ გაასაღებ, არ იცი?!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ - სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის შეძენა, შენახვა და გასაღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავა.

ბრალდებულმა, საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქალაქ რუსთავში გაასაღა 13 600 აშშ დოლარის ოდენობის, ყალბი 100-დოლარიანი კუპიურები. საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი კუპიურები ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე.

გილოცავთ!

გურამ ხურცილავა - 80

საქართველოს დამსახურებულ არტისტს, სოხუმისა და მარჯანიშვილის თეატრების ყოფილ მსახიობს, ღირსეულ მოქალაქესა და მამულიშვილს, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

მანანა ბარათაშვილი,
მურთაზ ჭაბუკიანი

აღიარება!

ცნობილი არტისტის ჯილდოებს ორი ოქროს მედალი შეემატა



ტრადიციად იქცა პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხურ დრამატულ თეატრში ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში ქართველი მსახიობების მიწვევა.

ყველასთვის საყვარელი მსახიობი **სოსო ლალიძე** თეატრის კოლექტივმა ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნაში“ ბიძია ისიდორეს როლის შესასრულებლად მიიწვია. გამოცდილმა მსახიობმა ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულა. ქართველი მსახიობის ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის კი მეტად სასიხარულო მოვლენაა ის, რომ სომხეთის კულტურის სამინისტრომ და სომხეთის თეატრალურმა საზოგადოებამ სომხურ-ქართული ურთიერთობების გაღრმავებისა და ამ ურთიერთობაში განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონი სოსო ორი ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

ვულოცავთ საქართველოს სახალხო არტისტს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ამ საპატიო ჯილდოს სომხეთიდან. მუდამ მხნედ გვენახოს ქართული თეატრალური კულტურის სადარაჯოზე. მან ხომ ხალხის გულში სიყვარული და პატივისცემა თავისი შემოქმედებითა და პიროვნული თვისებებით დიდი ხანია, მოიპოვა.

აჭარა ბაქოს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პოტენციალი ბაქოს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე AITF 2017 წარადგინა. დეპარტამენტი გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობდა. საქართველოს სტენდი გამოფენაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მეუღლესთან ერთად მოინახულა.

ბაქოს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში 22 ქვეყნის 272 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ვიზიტორებს შეთავაზებებს ავიაკომპანიები, სასტუმროები და სხვადასხვა ტიპის ტურისტული კომპანიები სთავაზობდნენ. გამოფენის ფარგლებში ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც აზერბაიჯანში აჭარის რეკლამირებას უზრუნველყოფენ. მაისის პირველ ნახევარში აჭარას აზერბაიჯანში წამყვანი მედია საშუალებების ჟურნალისტები და ბლოგერები ეწვევიან, რომლებიც რეგიონის შესახებ სტატიებს, ბლოგებსა და ვიდეორეპორტაჟებს მოამზადებენ.

ტურისტების რაოდენობის მხრივ აზერბაიჯანი რეგიონში მე-5 ადგილზეა. გასულ წელს, აჭარას 31 326 აზერბაიჯანელი ტურისტი სტუმრობდა

◎ ინტერნეტიდან

სამშობლოზე მზრუნველი კატია ზინგარევიჩი

ალბათ, გახსოვთ, ინგლისურ საფეხბურთო კლუბებში მოფუსფუსე რუსი ოლიგარქის ანტონ ზინგარევიჩის ტანკენარი მეუღლის კატია ზინგარევიჩის შესახებ ადრეც დაგვიწერია.

კატია წარმოშობით ბელარუსიდანაა და მიუხედავად იმისა, რომ მის მშობლიურ ქვეყანას დიქტატორად შერაცხილი ლუკაშენკო მართავს, თურმე, ამ ვაებას ზინგარევიჩის ქალი არად აგდებს და გადაწყვეტილი აქვს, რომ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში სპეციალური ჩვენება მოაწყოს და მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ლამაზმანები ჩაიყვანოს.

როგორც ფუტკრები თაფლს – სწორედ ისე ახვევია ბულვარული მედია მსოფლიოს ლამაზმანების თავყრილობებს და კატია ზინგარევიჩმაც ბრწყინვალედ იცის, რომ მისი ქვეყნის პოპულარობისათვის და იმიჯის ამაღლებისათვის ამაზე კარგს ვერაფერს მოიფიქრებს. ერთი ასეთი ჩვენება საქართველოსაც არ აწყენდა, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა იღბალი და კატია ზინგარევიჩი...

როსტომ რაჭველიშვილი

საიდან მოდის ალერგია?

ბევრს აინტერესებს რატომაა, რომ ზოგი ადამიანი ალერგიულია, ზოგი კი – არა?

ალერგიის წარმოშობის ზუსტი მიზეზი არავინ იცის, თუმცა კი ცხადია, ამაში დიდ როლს გენეტიკა ასრულებს. თუკი ერთ-ერთ მშობელს ალერგია აქვს, მისი გადაცემის საფრთხეს ბავშვისთვის მედიკოსები 25-30 პროცენტის ფარგლებში აფასებენ, ხოლო თუ ალერგიულია ორივე მშობელი, მაშინ მათი შთამომავლობისთვის ალერგიით დაავადების საფრთხე 80 პროცენტამდე იზრდება.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ გენების მიუხედავად, **ამ ავადმყოფობისგან არავინაა დაზღვეული, თანაც კაცის ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს!** ალერგიის პროვოცირება შეუძლია წამლებს, მცენარეთა და სახლის მტვერს, ჩვენს გარშემო ფეხის ყოველ ნაბიჯზე არსებულ ქიმიას. მაგალითად, ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზების ზოგიერთ კომპონენტს სრულიად უწყინარ ნივთიერებებთან შეერთებისას ალერგენების წარმოქმნა შეუძლიათ. ალერგია ჩვენში დღესდღეობით დაახლოებით ყოველ მეხუთე კაცს სჭირს და მათი რიცხვი თანდათანობით მატულობს.

საჭირო საკომუნიკაციო საშუალება ...და არა ჭირვეული ახირება

დასავლეთის ქვეყნებში მაღალი კლასის (ასევე ბევრ შედარებით უფრო დაბალი კატეგორიის) სასტუმროების ნომრების ყველა საპირფარეშოში ტელეფონებია დამონტაჟებული, რაც ყველა იქ ნამყოფს გვინახავს.

ამის მთავარი მიზეზი კი, რომლის შესახებ ბევრს არ სმენია, ისაა, რომ მედიცინაში ასეთი ცნება არსებობს – „სიკვდილი უნიტაზზე“. თურმე, თანამედროვე ადამიანთა ყველაზე მძიმე დატვირთვა საკუთარი წონა ყოფილა: როცა კაცს ჭარბი წონა და სუსტი ფეხები აქვს და მას უნიტაზზე დაჯდომა და, გარკვეულწილად, გაჭინთვა მოუწია, მკვეთრად ადგომა არამც და არამც არ შეიძლება!

საქმე ისაა, რომ მკვეთრად ადგომისას სისხლი თავში ასვლას ვერ ასწრებს, თუკი კაცს დახმარება დროზე არ გაეწევა, იგი კვდება. ამდენად, ტელეფონი იმისთვისაა საჭირო, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი კაცის მნახველმა დროულად შეძლოს „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება.

საიმისოდ, რომ მსგავსი ვითარება არ წარმოიშვას, საჭიროა კუნთების განვითარება (კერძოდ, ფეხის კუნთებისა), რომლებიც საქაჩის ფუნქციას ასრულებენ (სისხლს ტუმბავენ), რითიც სისხლის ნაკადის ნორმალურ სიჩქარესა და მოცულობას უზრუნველყოფენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3896; ევრო - 2.5418;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9968;
100 რუბლი - 4.2223; თურქული ლირა - 0.6503;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4277;
1000 სომხური დრამი - 4.9159.

ამინდი 19 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge